საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 1 აგვისტო, 2013 წელი.

№144 (7271)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოს პატრიარქი:

ჩვენ ძმები ვიყავით და ძმებად დავრჩებით

③

ავაზაკის შემწყალებელი ავაზაკი

⑥

„კონდიმ“ უნდა „გაგვანათლოს“?

⑦

რეალური ორხელი-სუფლებიანობის პირობებში,

④

ანუ პრემიერის „ახალი თვალები“ და ბიზნესკოალიციის საეჭვო დინებები

ნომერ პირველი ტერორისტი ალაპარაკდა

②

ქართული ეკონომიკის გასაჭირი ოპოზიციის ნახელავია

⑤ თურქეთის ორად გახლეჩილი საზოგადოება

საუკუნე რამე კავშირშია წესიერებასთან?

⑧

პანელიდან აყვანილი გოგო გინდათ რძლად?!

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ექსპერტის აზრი

ქართული ეკონომიკის გასაჭირი ოპოზიციის ნახელავია

ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშეა და ამის თაობაზე პრემიერი რამდენიმე დღის წინათ შეხვედრაზე გავაფრთხილე, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „საქსტატის“ მონაცემების კომენტირებისას ეკონომიკის ექსპერტმა დეიმურ გიორხელიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, სტატისტიკის სამსახურის მონაცემები ადასტურებს, რომ ეკონომიკური აქტივობა იანვრიდან ძალიან დაცემულია და ეკონომიკაში კარგი მდგომარეობა არ არის.

— ადამიანებს არ შეუძლიათ, დაიწყონ საქმიანობა, რადგან ქვეყანა ბანდიტური საბანკო სისტემის ხელშია. არაფერი გასაკვირი არ არის. ცხადია, ნულოვანი ზრდა მაისში და მინუს 0,8 პროცენტი ივნისში მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკა სერიოზული პრობლემების წინაშეა. თვეებია, ვაფრთხილებ მთავრობას, — განაცხადა გიორხელიძემ.

მისივე თქმით, ის, რაც დღეს საქართველოს ეკონომიკას ჭირს, „ოპოზიციის ნახელავია“.

„ზრდის ტემპი რომ უნდა შემცირებულიყო, ცხადია, რადგან ის სიმახინჯე, რასაც „ნაცმოძრაობის“ ეკონომიკური ზრდა ერქვა, არ შეიძლებოდა, გაგრძელებულიყო. ის იყო ბლეფი. ის ეკონომიკა ნელ-ნელა ინგრევა. ცხადია, ამ ნგრევის პროცესში ზრდის ტემპი მაღალი ვერ იქნება, მაგრამ 2013 წელი მოსამზადებელია ყველა მხრივ, რომ ჩვენ შემდეგი წლიდან ეკონომიკური ზრდა მივიღოთ. შედეგები ნამდვილად ცუდია, მაგრამ არა — საგანგაშო“, — აღნიშნა გიორხელიძემ.

ეკონომიკაში არსებულ ვითარებას საგანგაშოს უწოდებს ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე. როგორც კალანდაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მთავრობას პრობლემებისადმი არასწორი და ზერელე მიდგომის ტენდენცია აქვს.

— ამ მიდგომების შედეგად მივიღეთ სურათი, რომ ტენდენციურად კლებადია მშპ, დღგ-ს გადამხდელი საწარმოების ბრუნვა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში. როდესაც ეკონომიკური კლება ტენდენციის ხასიათს იღებს, ეს უკვე გადამჭრელი ზომების მიღების საფუძველია, — განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, არაერთხელ მიუთითა ხელისუფლებას ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების შესახებ, თუმცა უარი მიიღო.

„პასუხად მივიღე, რომ ანტიკრიზისული გეგმა გვექნება მაშინ, როდესაც იქნება კრიზისი. როცა ქვეყანაში კრიზისი იქნება, შემდეგ არანაირი გეგმა აღარ გვიშველის. დღეს უკვე ბიზნესი პასიურ რეჟიმში გადავიდა და ზრდაზე ორიენტირებული ბიზნესი არ არის. ასეთი რეჟიმი გრძელვადიან პერიოდში აჩენს საშიშროებას ბიუჯეტთან მიმართებაში. წლის მეორე ნახევარში, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ბიუჯეტს შეიძლება პრობლემები შეექმნას. ბიუჯეტისთვის პრობლემების შექმნა კი გამოიწვევს პრობლემებს იმ სოციალური და სამედიცინო პროგრამების დაფინანსებაში, რაც ახალმა ხელისუფლებამ მრავლად აკიდა ბიუჯეტს“, — აღნიშნა კალანდაძემ.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2013 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა — 0,8 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასების დოკუმენტის თანახმად, რომელიც „საქსტატმა“ გუშინ გამოაქვეყნა, 2013 წლის მეორე კვარტლის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 1,3 პროცენტი, ხოლო 2013 წლის პირველი ექვსი თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 1,8 პროცენტი შეადგინა.

◎ სტიქია

საგანგებო თათბირი სენაკში

სენაკში, სტიქიის ზონაში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია და ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე იმყოფებოდნენ.

საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე მინისტრებმა სენაკის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისგან ინფორმაცია მიიღეს, თუ რა სახის ზარალი მიადგა სენაკს სტიქიის შედეგად.

როგორც ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია აცხადებს, გამგეობაში შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ზარალს შეისწავლის და ამის შემდეგ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, მოსახლეობას გაეწევა მატერიალური თუ ფინანსური დახმარება. ამ პროცესს მონიტორინგს არასამთავრობო სექტორი გაუწევს.

დავით ნარმანიას განცხადებით, დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად 800 000 ლარი უკვე გამოყოფილია.

ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე კი აცხადებს, რომ რამდენიმე ოჯახი დღესაც რჩება ელექტროენერგიის გარეშე, თუმცა ეს პრობლემაც მოგვარდება.

◎ ჩვენება

ნომერ პირველი ტერორისტი ალაპარაკდა

პატიმრობიდან გათავისუფლებული და №1 ტერორისტად აღიარებული შოთა ჭიჭიაშვილი გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მუხროვანის ამბოხების, ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობისა და პეტრე ცისკარიშვილის გატაცების დეტალებზე საუბრობს.

ჭიჭიაშვილის თქმით, 2001 წელს მუხროვანის ბაზა 7 პირთან ერთად უსისხლოდ და უმსხვერპლოდ აიღო.

— მეთაურები დავატყვევე, იარაღის საწყობები ხელში ჩავიგდე და ბაზა გია კრიალაშვილსა და კობა ოთანაძეს გადავეცი. ისინი ვაჟკაცი და პატრიოტი ქართველები იყვნენ. მათთან მოვილაპარაკეთ, რომ ნორმალური არჩევნები ჩაგვეტარებინა, რათა ეროვნული ხელისუფლება მოსულიყო სათავეში. მერე შევარდნაძე კრიალაშვილსა და ოთანაძეს მოელაპარაკა — კრიალაშვილი სამხედრო ატაშედ გაუშვა უკრაინაში, თავდაცვის სამინისტროს 10 თუ 20 მილიონით გაუზარდა ბიუჯეტი, ჯოხი კი ჭიჭიაშვილზე გადატყდა, მე გამოვედი ქვეყნის მტერი, — აცხადებს ჭიჭიაშვილი.

რაც შეეხება ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს, ჭიჭიაშვილის შეფასებით, ეს „მომავალ ნაცებს“ მასებზე ზემოქმედებისთვის სჭირდებოდათ.

— მათ სურდათ, შევარდნაძისთვის ძირი გამოეთხარათ და მისი ხელისუფლების მიმართ ზიზღი დაეთესათ, მასებზე ზემოქმედებისთვის სჭირდებოდათ მისი სიკვდილი. მგონია, ამათ თვითონვე მოკლეს ეგ საცოდავი და შევარდნაძეს გადააბრალეს, — ამბობს ჭიჭიაშვილი.

იგი პეტრე ცისკარიშვილის გატაცების დეტალებზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ეს გამიზნული არ ყოფილა.

— იმ დროს სულ სხვა ოპერაციაზე მივდიოდით და ჩვენი საქმისთვის მანქანა გვჭირდებოდა. კოტე ციხისთავმა, რომელიც ძალოვანებმა შემომიგდეს, მაინცდამაინც პეტრეს არ მიგვაყენა?! პეტრე ვაჟკაცი ბიჭი აღმოჩნდა, წინააღმდეგობა გაგვიწია, ამიტომ მისი წაყვანა მოგვიწია, — აცხადებს შოთა ჭიჭიაშვილი.

ჭიჭიაშვილი ესპანელი ბიზნესმენების გატაცების შესახებაც საუბრობს და იმ გახმაურებულ საქმეებს ასახელებს, რომლებშიც უშუალოდ მონაწილეობდა.

◎ კანონმდებლები

პარლამენტმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე სტატუსის შეცვლა შეაჩერა

საძართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე სტატუსის შეცვლის პროცესი შეჩერდა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის თანახმად , სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელებზე გასხვისების მიმართულებით გამოცხადებული მორატორიუმის ვადის ფარგლებში — 2014 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე ჩერდება მიწებისთვის სტატუსის შეცვლის პროცესი. პარლამენტის მიერ მიღებული პროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისთვის დანიშნულების შეცვლა, მხოლოდ სახელმწიფო აუცილებლობიდან გამომდინარე — მთავრობის გადაწყვეტილებით იქნება შესაძლებელი.

როგორც ინიციატივის ავტორები ზურაბ ტყემალაძე და გიგლა აგულაშვილი განმარტავენ, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა კანონი, რომლის საფუძველზეც, უცხოელებისა და უცხოური ფირმების მიერ მიწის საკუთრების უფლების მოპოვების პროცესი 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეჩერდა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისთვის სტატუსის შეცვლას და მის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კატეგორიაში გადაყვანას მასობრივი სახე მიეცა. შექმნილ ვითარებაში უმრავლესობის წევრებმა გამოსავალი მიწის ნაკვეთებისთვის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის მექანიზმების შეჩერებაში იპოვეს.

საპარლამენტო ოპოზიცია მიღებულ კანონპროექტს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ უმრავლესობის ეს ინიციატივა ქვეყანაში ეკონომიკურ და საინვესტიციო გარემოს გააუარესებს.

უნიკალური წარმონაქმნის ბუნების ძეგლებს სპეციალური კანონი დაიცავს

„ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ — ასე ეწოდება კანონპროექტს, რომლის რეგულირების სივრცეში შევა: სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსი — ბალდის კანიონი, ინიორეს ჩანჩქერი და ტობას პირველი მღვიმე, ტობას ჩანჩქერი და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლი, ასევე მოთენას მღვიმე, ჯორწყუს მღვიმე, ოჩხომურის ჩანჩქერი, ნაზოდელაოს მღვიმე, მდინარე აბაშის ჩანჩქერი და გოჭკადილის კანიონი.

ბუნების ძეგლების სისტემაში და აღნიშნული კანონის დაცვის ქვეშ ხვდება: გოდერძის ნამარხი ტყე, დაშბაშის კანიონი, სამშვილდის კანიონი, მუხურას ჩანჩქერი, ბოდორნის კლდის სვეტები, ჯვრის უღელტეხილის ტრავენტინი და ქეთერისის მინერალური ვოლკუზის ბუნების ძეგლი.

კანონპროექტით დგინდება აღნიშნული ბუნების ძეგლების ფართობი და საზღვრები. განსაზღვრულია მის ფარგლებში არსებული მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, ტყეების და სხვა ბუნებრივი რესურსის მოვლა, დაცვა და აღდგენა.

საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილმა მოამზადა, პარლამენტში ინიცირებულია.

პროექტის განხილვა საშემოდგომო სესიაზე დაიწყება.

ინტერპრესი

◎ ინფორმაცია

მარნეულის სასურსათო ქარხანა ამუშავდა

მარნეულის სასურსათო ქარხანამ პომიდვრის გადამუშავება დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიიდან აცნობეს, ქარხანა ნედლეულით ადგილობრივი ფერმერებიდან და საკუთარი მეურნეობა „მარნეული აგროდან“ მარაგდება.

— იტალიური ხაზი, რომლის წარმადობა 24 საათის განმავლობაში 500 ტონა ნედლეულია, პროდუქტის მაღალ ხარისხს სრულად უზრუნველყოფს.

საწარმოს ძირითადი მომწოდებელია „მარგებელი ჰოლდინგში“ შემავალი „მარნეული აგრო“. 16 ჰექტრიდან მიღებულმა მოსავალმა 1050 ტონა შეადგინა.

— სეზონის პირველ ეტაპზე კიტრის მწნილის წარმოებამ რეკორდულ ციფრს მიაღწია — 2 მილიონი კიტრის მწნილის ქილა საწარმოსგან. შესაბამისად, შარშანდელთან შედარებით წარმოება 20 პროცენტით გაიზარდა. ქარხანაში შემოდგომით კიდევ უფრო მეტ მოსავალს ელიან და მომხმარებელს სიურპრიზებს პირდებიან.

◎ ვითარება

კულტურის სამინისტრო გორში სტალინის ქანდაკების დადგმის ნებართვის გაცემას უარყოფს

როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს გორში, სტალინის სახელმწიფო მუზეუმის ტერიტორიაზე, სტალინის ქანდაკების დადგმის ნებართვა გაცემულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, სინამდვილეს არ შეესაბამება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა.

სამინისტროს განმარტებით, სტალინის ქანდაკების გორში განთავსებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო ჯერ კიდევ 2010 წლის 16 ივნისის №29 განკარგულებით.

როგორც კულტურის სამინისტროში აცხადებენ, 2013 წლის 28 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილის საპასუხოდ, საკრებულოს მიერ შერჩეული ქანდაკების განთავსების ორი სავარაუდო ადგილიდან სამინისტრომ მხოლოდ ტექნიკური სახის რეკომენდაცია გაუწია პროექტის იმ ვერსიას, რომელიც ქანდაკებას მოიაზრებს, როგორც ექსპონატსა და სამუზეუმო კომპლექსის შემადგენელ ნაწილს (ქოხი, სადაც დაიბადა სტალინი, საგამოფენო სივრცე და სტალინის ვაგონი).

— აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ გადაწყვეტილება სტალინის ქანდაკების გორში დადგმასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლებას სცდება და ის მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტის პრეროგატივაა. სამინისტრო მუშაობს სტალინის სახელმწიფო მუზეუმის ახალ კონცეფციაზე, რომლის განხორციელება დამთვალიერებლისათვის კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ სულიერი მამა

საქართველოს პატრიარქი:

ჩვენ ძმები ვიყავით და ძმებად დავრჩებით

„ილია მეორე: ძმები ვიყავით და ძმებად დავრჩებით“, — ამ სათაურით აქვეყნებს რუსული გამოცემა Кавказская политика ნადეჟდა კევორკოვას ინტერვიუს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია, თუმცა, საქართველოს პატრიარქი ხუთი წლის განმავლობაში რჩება საქართველოს ერთადერთ წარმომადგენლად, რომელიც რუსეთში ჩადის და არა მხოლოდ მოსკოვის პატრიარქ კირილს ხვდება, არამედ — ქვეყნის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსაც.

„საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის გავლენა უპრეცედენტოა. ამერიკული გამოკვლევების თანახმად, მისი რეიტინგი 92%-ზე ქვევით არ ჩამოდის. ხუთი წლის წინათ პატრიარქი პირადად ესაუბრა რუსეთის სამხედრო უწყებას და პირადად ჩავიდა საომარი ქმედებების ზონაში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ცხედრების საქართველოში გადმოსასვენებლად“, — წერს ნადეჟდა კევორკოვა და დასძენს, რომ რუსეთში ვიზიტამდე ილია II კიდევ ერთხელ აღნიშნა, თუ რამდენი რამ აერთიანებთ რუსეთსა და საქართველოს გარდა მართლმადიდებლობისა — მათ შორის კულტურა, ტრადიციები, საერთო ისტორია, პოეტები და საბჭოთა კავშირის თვით ყველაზე გავლენიანი და მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ლიდერი იოსებ სტალინი.

„პირველ რიგში, მინდა, ყველას მივმართო — ის დაძაბული ურთიერთობები, რომელიც საქართველო-რუსეთს შორის წარმოიშვა, ხელოვნურადაა შექმნილი. მიუხედავად ჩვენ ქვეყნებს შორის არსებული რთული ურთიერთობებისა, ჩვენმა ეკლესიებმა შეინარჩუნეს ძმური, ჩვენმა ხალხმა კი — თბილი ურთიერთობები. ჩვენ დიდი სიყვარულით ვხვდებით რუსულ მრევლს და ისინი ესწრებიან ჩვენს ღვთისმსახურებას, თავის მხრივ, ქართველებიც ხშირად სტუმრობენ რუსულ წმინდა ადგილებს“, — განაცხადა რუსულ გამოცემასთან ინტერვიუში სრულიად საქართველოსკათოლიკოს-პატრიარქმა და დასძინა, რომ დაძაბული ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დიდხანს არ გაგრძელდება, რადგან რუსეთშიც და საქართველოშიც არსებობენ კეთილი ძალები, რომლებიც გამოასწორებენ ამ გაუგებრობას. მისივე თქმით, აფხაზეთიცა და ცხინვალიც კვლავ იქნებიან საქართველოს შემადგენლობაში.

„ჩვენ შევინარჩუნეთ თბილი ურთიერთობები აფხაზებთანაც და ოსებთანაც. როგორც იცით, მე ვლადიკავკაზში დავიბადე, სკოლაც იქ დავამთავრე და კარგად ვიცნობ ოსებს. ეს კეთილი, ნიჭიერი ხალხია. რაც შეეხება აფხაზეთს, 11 წლის განმავლობაში ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტიკი და ჩვენს შორის რაიმე დაძაბულობის ერთ შემთხვევასაც ვერ გავიხსენებ. ვფიქრობ, რომ არ არსებობს არც ჩიხი, არც — კედელი. როდესაც ჩვენ წინ აღმართულ კედელს ვაწყდებით, მას გვერდი უნდა ავუაროთ და ან კარი უნდა ვიპოვოთ, ან ფანჯარა, ან — გასასვლელი“, — განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა.

რუსულ გამოცემასთან საუბარში ილია მეორემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება მზად არის რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის.

„ჩემი აზრით, რუსულ მხარესთან მოლაპარაკებების გამართვა სასულიერო პირებსაც და ელიტის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ. ამას ხელს არაფერი უშლის, მით უმეტეს, რომ უკვე ათი თვეა, რაც საქართველოს ახალი ხელისუფლება ჰყავს, რომელიც მზადაა მოლაპარაკებებისთვის და ვფიქრობ, ეს მოლაპარაკებები შედგება“, — აღნიშნა უწმინდესმა და უნეტარესმა და დასძინა, რომ თავად არ აწარმოებს მოლაპარაკებებს, განსაკუთრებით პოლიტიკური რანგისას. მისივე განცხადებით, ყოველთვის ღიად აფიქსირებს საკუთარ აზრს და ფიქრობს, რომ დაუშვებელია თვალის დახუჭვა რუსეთსა და საქართველოს შორის შექმნილ სირთულეებზე.

„მიმაჩნია, რომ ჩვენ ვიყავით ძმები და ძმებად დავრჩებით. მთავარია, ერთმანეთისადმი გულწრფელები ვიყოთ. ამას წინათ, მაგალითად, 300 მეტრით გადმოწიეს საზღვარი. რუსეთისთვის ეს არაფერს ნიშნავს, საქართველოსთვის კი ეს ძალიან ბევრია“, — განაცხადა რუსულ გამოცემასთან საუბრისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და აღნიშნა, რომ ამაზე პასუხისმგებელი რუსეთის მხრიდან ქვეყნის პრეზიდენტია, საქართველოს მხრიდან კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და ისინი უნდა შეხვდნენ და გადაჭრან ეს საკითხები.

„საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მისი დანაწევრება არ შეიძლება. ამას არ დაუშვებს ღვთისმშობელი. ეს დიდი ცოდვაა ღვთის წინაშე. აფხაზეთი და ცხინვალი — საქართველოს ტერიტორიის ნაწილია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და აუცილებლად ვიპოვნით გამოსავალს ამ რთული სიტუაციიდან. ძალიან მიყვარს რუსეთი, სადაც სასულიერო სემინარიაში მივიღე განათლება და აკადემია დავამთავრე“, — განაცხადა ილია მეორემ.

რუსულ გამოცემასთან საუბრისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ასევე განაცხადა, რომ რუს და ქართველ ხალხს არა მხოლოდ მართლმადიდებლობა, არამედ კულტურა აერთიანებს.

„საქართველოს ძალიან უყვარს რუსული კულტურა. ქართველები კითხულობენ და ძალიან უყვარდა რუსეთის ლიტერატურა და ფილოსოფია, განსაკუთრებით XIX საუკუნის. მახსოვს, როცა სემინარიისა და აკადემიის სტუდენტი ვიყავი, საბჭოთა პერიოდში ეს ლიტერატურა აკრძალული იყო, თუმცა, მაინც ვახერხებდით ამ წიგნების კითხვას“, — აღნიშნა ილია მეორემ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ სტალინი ერთდროულად ქართველიც იყო და რუსიც.

„სტალინი წარმოშობით ქართველი იყო და შესანიშნავად იცოდა ქართული ენა, ქართული სიმღერა, გალობა. როდესაც ის გარდაიცვალა, სასულიერო სემინარიის სტუდენტი ვიყავი. მისი დაკრძალვისას ყველანი დარბაზში ვიდექით და ვტიროდით. მის შესახებ ბევრს გვესაუბრებოდა ჩვენი რექტორი, მამა კონსტანტინ რუჟიცკი, რომელმაც სტალინის შესახებ ბევრი იცოდა, რუსეთის პატრიარქი ალექსეი I, ვისაც ძალიან უყვარდა სტალინი. ერთ-ერთი მიღების დროს, როცა სტალინი ალექსი I, მიტროპოლიტ ნიკოლაისა და პროტოპრესვიტერ ნიკოლაი კოლჩიცკის ხვდებოდა, მან ჰკითხა, რამ შეგაწუხათო? მათ კი უპასუხეს, მადლიერები ვართ თქვენი, რომ ტაძრები გახსენითო. „არა, ეს საკმარისი არ არის. გახსენით სასულიერო სემინარიები და აკადემიები“, - უპასუხა სტალინმა. სტალინი გამოჩენილი პიროვნებაა. ასეთი პიროვნებები იშვიათად იბადებიან. მან იცოდა რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა“, — აღნიშნა ილია მეორემ და დასძინა, რომ სტალინი ყველასთვის ერთნაირი იყო და არ გამოყოფდა საქართველოს. მისივე აზრით, სტალინი მორწმუნე იყო, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლებში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, საუკუნეების განმავლობაში რუსეთმა და საქართველომ ბევრი სასულიერო ფასეულობა შეიძინეს.

„ამიტომ თვალი უნდა მივადევნოთ, რომ არ დაიკარგოს ეს ფასეულობები— ჩვენი რწმენა, სამშობლო, კულტურა. რუს ხალხს ვუსურვებ მშვიდობას, აყვავებასა და კეთილდღეობას. მშვიდობასა და კეთილდღეობას ვუსურვებ ჩვენს ხალხსაც. ასევე იმას, რომ აღარასოდეს იყოს რთული ურთიერთობები რუსეთ-საქართველოს შორის“, — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუსული გამოცემა Кавказская Политика-სთან ინტერვიუს დროს.

◎ ფეისბუქიდან

ნერტილოვანი ფრაზები

● ვადაგასული აჩრდილებს ებრძვის. მეტი რაღა დარჩენია (სტალინს ვერ ინელებს, სულ მისი წნეხის ქვეშაა).

● არიქა, მიშას უჭირსო და ეს უსაქმური კაჩინსკი პოლონეთიდან ჩამოქანდა)) გული მერევა ამათ დანახვაზე... მიშასავით უთავმოყვარეოები არიან... ფუუ.

● ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი ქალიშვილობის საბუთით ნამდვილად დაგვხატავდა.

● მიშამ პატიმარი თენგიზ გუნავა შეიწყალა. რა ეკუთვნის ახლა ამ კრიმინალს?

მეგობრებო, ახლა მაინც ხომ მიხვდით, აქამდე რატომ არ მიუსაჯეს ვანოს და ბაჩო ახალაიას? ან რატომ არ ჩამოათრიეს ადეიშვილი და სხვა კრიმინალები? იმიტომ, რომ როგორც კი ჯერ კიდევ მიკერძოებული სასამართლო რამეს მიუსჯის, ეს უთავმოყვარეო მიშა იმავე წუთს შეიწყალებს.. კრეტინ ნესჩასტნი.

სასამართლოოოოოო!!! არ დავინახო, რომ ფარჩაკ ვანოს და ვამპირა ახალაიას ნოემბრამდე რამე მიუსაჯო, თორემ ვერ გადამირჩები :)))

● გუნავა შეიწყალეს!

ახალო ხელისუფლებავ, დროზე მოასწარით გადადგომა და გაქცევა, თორე მალე ნაცები მოვლენ და ყველას ცოცხებზე შეგსვამენ! (არა ბიჭო და კოჰაბიტაციას დაგიწყებენ ციხიდან გამოსული მერაბიშვილი და ახალაია, ან ლისეკს და ჰამერბერგს შეეკითხებიან, ამ ნამინისტრალს ამ ზომის ცოცხი რომ ვთხაროთ, ევროკავშირი რას იტყვისო!!! ვაი თქვენს პატრონს!!!!

● ეტყობა, კარგად უნდა დაეჩაგრა ერი სააკაშვილს. როგორც ჩანს, საკმარისი არ ყოფილა ამ ხალხისათვის ის, რაც გაუკეთა ამ 9 წელიწადში. გუნავა ცოტაა, ყველა უნდა შეიწყალოს! უთავმოყვარეო ხალხი ვართ, მეტის ღირსები ვართ!

● გაანებეთ თავი გორელებს. თვითონ მოიფიქრებენ, რა უნდა გაიკეთონ! რა შუაშია კულტურის სამინისტრო — აბა გორის საკრებულო რაღას აკეთებს?

● კაჩინსკი გვაკლდა და აჰაااა... ისიც დაგვცემია თავში... რა ვერ გავიგე იციით, ლატარიაში მევიგეთ ეს ჩემის ორასოცვოლტიანები?

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

„სოკარის“ წარმომადგენელი გაზის მილის დაზიანებას დაუდევრობად აფასებს

როგორც „სოკარ ჯორჯიას გაზი აჭარას“ მთავარმა ინჟინერმა, ზურაბ დუნდუამ ჟურნალისტებს განუცხადა, მილის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და მოსახლეობა პანიკაში არ უნდა ჩავარდეს.

— კორპუსის მშენებლობის დროს მოხდა დაუდევრობა. არ გაითვალისწინეს გაზსადენი და იმუშავეს მძიმე ტექნიკით, რის გამოც დაზიანდა გაზის მილი. გაზსადენი გადაკეტილია და მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. ხალხი არის შეშინებული, თუმცა, საგანგაშო არაფერია და პანიკაში არ უნდა ჩავარდნენ, — აღნიშნა ზურაბ დუნდუამ.

ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე სამშენებლო სამუშაოებს კომპანია „სახლი პიაცასთან“ ასრულებს. როგორც სამუშაოთა მწარმოებელმა, ვლადიმერ შენგელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, დაზიანებული მილიდან გაზის გადინება მაქსიმუმ ოთხ წუთს გაგრძელდა.

გაზის მილის დაზიანების გამო მშენებლობის გარშემო მდებარე კერძო სახლებიდან მოსახლეობა გაყვანილი იყო.

შსს-მ ვანში მომხდარი მკვლელობა გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით 1988 წელს დაბადებული სულიკო ლ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 30 ივლისს, ურთიერთშელაპარაკებისას, 1969 წელს დაბადებულ ფრიდონ ვაშაყმაძეს ყელის არეში დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა სულიკო ლ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ბრალდებულმა დანაშაული აღიარა.

ინტერპრესი

რეალური ორხელის-უფლებიანობის პირობებში,

ანუ პრემიერის „ახალი თვალები“ და ბიზნესკოაბიტაციის საეჭვო დინებები

„ნახევრად ხუმრობით, მაგრამ აბსოლუტურად სერიოზულობით განვაცხადე, რომ მომავალში ჩემი ძირითადი ინტერესი ზუსტად ეკონომიკა და ეკონომიკური ექსპერტები იქნებიან. რამეთუ პოლიტიკაში რა გამოცდილებაც მქონდა, გავიგე, მაგრამ უფრო საინტერესო ეკონომიკური სფეროა. თუმცა, პოლიტიკური სტაბილურობის გარეშე ეკონომიკა ვერ იქნება. ქვეყანაში არის ინვესტიციების და ბიზნესის მოლოდინის პროცესი, რომ ამ მხრივ საშიში აღარ არის საქართველო. ამ მხრივ კი პოლიტიკური სტაბილურობის მოლოდინს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტებთან შეხვედრისას.

როგორც ცნობილია საუბარი შეეხებოდა ეკონომიკური სტრატეგიის გეგმასაც, რომელიც მუშავდება და, სავარაუდოდ, სექტემბრისთვის მომზადებულ დოკუმენტსაც ვიხილავთ. სხვა რა მნიშვნელოვან საკითხებზე გამახვილდა ყურადღება და რა თემებზე საუბარმა „აუხილა თვალი“ პრემიერს, ამაზე ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე სოსო სისკარიშვილი გვესაუბრება.

— ბატონო სოსო, რა იყო ის მთავარი თემები, რომელიც ექსპერტებმა პრემიერთან მსჯელობისთვის მნიშვნელოვნად ჩათვალეს?

— ძირითადად, იმ ძალისხმევის ინტენსიფიკაციაზე იყო საუბარი, რაც აუცილებელია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების დამაჯერებლობისთვის. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ შეხვედრაზე განიხილა ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებში ვიცე-პრემიერის პოსტის შემოღების საკითხი და პრემიერმა უკვე დაასახელა კიდეც ვიცე-პრემიერად გიორგი კვირიკაშვილი.

ვფიქრობ, სასურველი იქნებოდა, რამდენიმე დარგის ვიცე-პრემიერი გვყოლოდა და საქმის უკეთესად გაძღოლისთვის ისინი სამინისტროებისგან თავისუფლები ყოფილიყვნენ. უდავოდ დადებითი ტენდენციაა, როდესაც ვიცე-პრემიერს ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების საშუალება ექნება.

— შეხვედრის შემდეგ, როგორც პრემიერმა განაცხადა, „გაურკვევლობა იმაზე მეტი რჩება დღევანდელ საქართველოს პოლიტიკაში, ვიდრე მე წარმომედგინა. ამ მხრივ მე თვალი ამიხილეს, თუმცაღა დამატებითი გასაღები ვერ გამოვნახეთ“. რა კონკრეტული პრობლემის შესახებ არ იცოდა ბიძინა ივანიშვილმა და რა იყო მისთვის სიახლე?

— უშუალოდ შეხვედრისას პრემიერს ასეთი აქცენტები არ გაუკეთებია. თუმცა, ინფორმაცია, რომელსაც ის ისმენდა, ეკონომიკური სფეროს ექპერტებისგან, მისთვის მაღალი ინტერესის საგანი იყო. მაგალითად, საუბარი იყო გასული წლების არნახულ ეკონომიკურ ზრდაზე (მაგ. 11%-იან ზრდაზე), რომელიც თავისთავად უნდა ასახულიყო უმუშევრობის დონის შემცირებაზე, მაგრამ არ ასახულა.

როდესაც საუბარი შეეხო საქართველოში ეკონომიკურ კრიზისს, რაზეც ასე დიდი სიამოვნებით ჭიკჭიკებს „ნაციონალური მოძრაობა“, დაისვა კითხვა, რომ მაგალითად, ისეთი ძირითადი მახასიათებელი ეკონომიკური კრიზისისა, როგორიცაა ინფლაცია, რატომ არ შეინიშნება დღევანდელ ქართულ რეალობაში.

— ეკონომიკურ წრეებში პირიქით, დეფლაციურ პროცესებზეა საუბარი..

— შეხვედრის ფორმატში ქება და ქათინაურები ნამდვილად არ მოიაზრებოდა, ეს არ იყო შეხვედრა თვითკმაყოფილებისთვის, ეს იყო არსებული ვითარების კრიტიკული ანალიზი.

როდესაც ფასების კლების პროცესს შეეხო თემა, ამოსავალი წერტილი გახდა, თუ რა სურათი გვქონდა დარგების მიხედვით, მათი დემონოპოლიზაციის კუთხით.

გასულ წლებში დიდხანს ვსაუბრობდით ელიტურ კორუფციაზე, რომლის მასულდგმულებელიც გახლდათ ბიზნესი, რომელიც სახელმწიფო რეკეტის მსხვერპლი ხდებოდა. დღეს გარეგნულად ჩანს ასე, რომ პოლიტიკური დაპირისპირებისა და შეუთანხმებლობის ფონზე, შესაძლოა, იყოს ბიზნესკოაბიტაციასაც, რომელიც სამწუხაროდ, ქვეყანაში გამჭვირვალედ არ მიმდინარეობს.

ამის თქმის საფუძველს პირადად მე ის ფაქტი მაძლევს, რომ არ გვაქვს ინფორმაცია, მაგალითად, იმპორტიორთა რაოდენობაზე ისეთი მიმართულებით, როგორიცაა ავტომობილის საწვავი, ფქვილი, საბეჭდი ქაღალდი, მარილი და სხვა, რაც ვიცით, რომ თავის დროზე მონოპოლიზებული იყო. დღეს საინტერესოა, ამ სფეროებში იმპორტიორთა რაოდენობა გაიზარდა თუ არა.

— კარგი იქნებოდა, გვქონოდა სტატისტიკა, რამდენი სუბიექტი იყო იმპორტიორი და რამდენი გახდა. თუ მათმა რიცხვმა არ მოიმატა, მაშინ ფასების შემცირების სხვა რეცეპტი უნდა ვეძებოთ.

— ეს შეეხება წარმოებასაც, არა მხოლოდ იმპორტს და როდესაც ლაპარაკი იყო თანხებზე, რომელიც სადღაც ილექებოდა, დღეს კი ეს თანხები არ ჩანს, ცხადია, ჩნდება კითხვები — იგივე სიტუაციაა, რაც ელიტური კორუფციის დროს თუ თანხების განთავსების სხვა მისამართები გამოიძებნა.

სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი ასეთი ვარაუდებისა, არის ის, რომ გარკვეულ პროდუქციაზე ფასები არ მცირდება.

ასეთ ფონზე, თუ სადმე ბიზნესკოაბიტაცია მიმდინარეობს, ეს უნდა იყოს აუცილებლად მაქსიმალურად გამჭვირვალე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაჭირდება ძველი და ახალი პროცესების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

— გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრს სრულფასოვანი ინფორმაცია არ აქვს, სხვადასხვა სფეროებსა და დარგებში ზუსტად რა სურათია?

— ვერ ვიტყვი, რომ პრემიერს რაიმე პრობლემის წამოწევა ძალიან გაუკვირდა. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბიზნესპროექტების პრობლემას. პრემიერმა განაცხადა, რომ ინვესტიციის შემოტანა კი არა, იმ ბიზნესპროექტების სიმცირის პრობლემა იყო, რომელშიც ინვესტიცია ჩაიდებოდა.

ივანიშვილისთვის, მაგალითად, აღმოჩენა იყო, რომ ძალიან ბევრი კარგი, მაგრამ განუხორციელებელი პროექტი არსებობს, რომლებსაც თავის დროზე ფინანსური პრობლემის გამო უარი უთხრეს. ასეთი ბიზნესპროექტების აღნუსხვა მოხდება და ყველა ჩვენგანს მიეცემა ასეთი პროექტის მომზადების შესაძლებლობა, ცხადია, გარკვეული ანალიზითა და დასკვნებით, რათა განუზომელი ფანტაზიის გამომგონებელთა ბრძოლის ველად არ გადაიქცეს იგი.

— როდესაც ფასებზეა საუბარი, ყველას ახსენდება წინასაარჩევნო დაპირება, რაც საწვავზე ფასის შემცირებას, პარალელურად კი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემოღებას გულისხმობდა...

— ეს საკითხიც, რა თქმა უნდა, იყო მსჯელობის საგანი და პრემიერმა აღნიშნა, რომ ამ კანონის მიღება დაგვიანდა, თუმცა, ძალიან მალე კანონპროექტი ხელმისაწვდომი იქნება ეკონომიკური პროფილის ექსპერტებისთვის, რათა მისი საზოგადოებრივი განხილვა დაიწყოს.

საწვავს რაც შეეხება, ბუნებრივ აირზე იყო კონცენტრირებული ყურადღება იმ მხრივ, რომ 2009 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ფაქტობრივად, ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი გადადგა, როდესაც დაარღვია ხელშეკრულება „ბრითიშ პეტროლიუმთან“, რომელიც მოქმედებაში უნდა ყოფილიყო 2020 წლის ჩათვლით.

ნაცვლად იმისა, რომ შაჰ-დენიზის საბადოდან გაზის მიღებაზე ეზრუნა საქართველოს ხელისუფლებას, სხვა საბადოსთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც „სოკარი“ ხელმძღვანელობდა.

ეს ძალზე ბევრი კითხვის შემცველი გარიგებაა, რადგან ხარისხი ბევრად გაუარესებულია (ბევრად დიდხანს გვიწევს 1 ლიტრი წყლის ადუღება, ვიდრე „ბრითიშ პეტროლიუმის“ გაზით სარგებლობისას). ასეთ შემთხვევაში მოსახლეობას ორჯერ ნაკლები დანახარჯი ექნებოდა. რაც მთავარია, ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ „ბრითიშ პეტროლიუმი“ კვლავ მოლაპარაკებათა მაგიდასთან დავაბრუნოთ.

იგივე ტიპის პრეტენზიები გამოითქვა ქვეყანაში შემოტანილი ბენზინის მიმართ, რომელიც მხოლოდ ფილტვის კიბოს მაჩვენებელს ზრდის და სხვა სიკეთე ქვეყნისთვის არ მოაქვს. გამოითქვა სურვილი, რომ საწვავის სწრაფი ტესტირება მოხდეს თვით ბენზინგასამართ სადგურებზე. ასე რომ, ბენზინის იმპორტიორებს ისღა დარჩებათ, ან ბიზნესი მიატოვონ, ან გაიხსენონ, რას ნიშნავს სიტყვა „პატიოსნება“.

— ივანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ჩვენ უნდა დაველოდოთ ოქტომბრის არჩევნებს და ვისურვოთ, რომ გარემო პოლიტიკურად იყოს უფრო მეტად სტაბილური და დაბალანსებული. როგორც ჩანს, დღევანდელი პოლიტიკური გარემო ეკონომიკის ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორადაც შეიძლება განვიხილოთ...

— ჩემთვის საეჭვო ნამდვილად არ გახლავთ, რომ დღეს ქვეყანა რეალურად ორხელისუფლებიანობის პირობებში იმყოფება. ეს ნიშნავს, რომ არალეგიტიმური ხელისუფლება, რომელსაც ჯერაც ბევრი ბერკეტი უპყრია ხელთ, მუდმივად დემაგოგიით ცილისწამებითა და შანტაჟით არის დაკავებული. თავად პრეზიდენტის უამრავი გამონათქვამი, რომელიც აკნინებს ქვეყნის პერსპექტივას, ყველა ინვესტორისთვის „სდექ“ ნიშნის თანაფარდია. „სდექ“ და „დაელოდე“ ბიზნესისთვის საკმაოდ სენსიტიური სიტყვებია, მით უმეტეს, როდესაც ნაციონალებს ჰყოფნით თავხედობა, რომ საკუთარი დაბრუნების პერსპექტივაც შესთავაზონ ბიზნესმენებს, რომლებსაც ბევრი შავი დღე ახსოვთ მათგან. ცხადია, რომ მოლოდინის რეჟიმში გადასვლა ერთადერთი თავშესაფარია ამ ეტაპზე. ეს ეხება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ბიზნესმენებს და სწორედ ამ ბარიერს გულისხმობდა პრემიერი, როდესაც ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობდა.

— შევარდნაძის, შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში მთავრობა ექსპერტების კრიტიკის მსუყე ობიექტი იყო, მართალია, დღევანდელი ხელისუფლება თავისი ეკონომიკური პროფილის მინისტრებით ამაყობს, მაგრამ ექსპერტებს აქვთ მათთან შენიშვნები?

— იყო შენიშვნა, ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან, რომ გარედან რჩება შთაბეჭდილება, თითქოს, მინისტრთა უმეტესობას აკლია გაბედულება და დამოუკიდებლობა საკუთარ საქმიანობაში, რადგან დავალების გარეშე ნაკლებად ინიციატივიანები არიან, ხოლო პრემიერი მათ დავალებებით არ ანებივრებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტად თავისუფლები იყვნენ.

მართალია, პრემიერს გაუკვირდა ამ თემის წამოწევა, მაგრამ ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება არაერთმა ექსპერტმა მოინდომა. მთლიანობაში ერთი რამ გამოიკვეთა — ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობა ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა პრემიერისათვის, ვიდრე წმინდა პოლიტიკურ საკითხებზე, რითაც გადაღლილები ვართ ერიც და ბერიც ჩვენი მედიის წყალობით.

— ბატონო სოსო ძალიან დიდი ხანია, სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში თვალს ადევნებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, გულწრფელად რომ გვითხრათ, დაინახეთ ის ნაბიჯები, რაც დალაგებული, განვითარებული სახელმწიფოს შენების წინაპირობა გახდება?

— ქვეყნის დალაგებას უპირველესად სჭირდება, რომ მისმა მოსახლეობამ იგრძნოს შვება. ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების მეშვეობით ეს პროცესი დაიწყო. მართალია, დღეს ხარისხი წინ არ უსწრებს ხელმისაწვდომობას და საყოველთაოობას, მაგრამ მალე, ალბათ, ამის დროც დადგება. იგივე შეიძლება ითქვას სოფლის მეურნეობაზეც (დღეს გლეხები კმაყოფილები არიან). საბავშვო ბაღების სახელმწიფო დაფინანსებაზე გადაყვანა, ღარიბთა ფენის გადასახადებისგან გათავისუფლება და ა.შ.

— თუმცა, ეკონომისტები თვლიან, რომ სოციალურ პროექტებში დახარჯული ფული წყალში გადაყრილია და ბევრად უკეთესი იქნება, სამუშაო ადგილების შექმნა იყოს პრიორიტეტი, რომ ყველამ თვითონ, საკუთარი შრომის ფასად შეიქმნას სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობები...

— ასეთი „ლიბერალები“ მახსოვს, ფქვილს და შაქარს ტომრებით არიგებდნენ არჩევნების წინ, თან თავს ლიბერალური ეკონომიკის ფუძემდებლებს უწოდებდნენ...

— ნაციონალებზე არ ვსაუბრობ...

— რასაკვირველია, ასეა და ეს თემაც, რა თქმა უნდა, განვიხილეთ — ის ბიზნესპროექტები, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ნამდვილად არ იქნება სოციალური სკვრიდან ამოღებული.

ლალი ზირაძიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

შიხიაშვილის კარი მოქალაქეებისთვის ღია

საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი ხუთშაბათობით მოქალაქეების მიღებას იწყებს.

— მინდა, დავაფიქსირო თბილისელებისთვის, რომ ჩვენ, საკრებულოს წევრები ვაგრძელებთ მოქალაქეებთან აქტიურ ურთიერთობას. მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ვაგრძელებ იმ ტრადიციას, რომელიც დაწყებული მქონდა ჩემი საკრებულოს წევრობის პერიოდში და ყოველთვის მქონდა ხუთშაბათობით მოსახლეობის მიღება, — განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა.

მისივე თქმით, მოსახლეობასთან შეხვედრა 11:00 საათზე დაიწყება და გაგრძელდება მანამ, სანამ არ შეწყდება შეხვედრის მსურველთა ნაკადი.

ინტერპრესი

თურქეთის ორად გახლეჩილი საზოგადოება

თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული ძეგლები კვლავ საზოგადოების მოჭარბებული ყურადღების ცენტრშია. გამუდმებით ისმის პრეზიდენტის „მზრუნველი“ სიტყვა ძეგლთა რესტავრაციასთან დაკავშირებით.

არანაკლებ აქტიურია კულტურის სამინისტრო, რომელიც იშხან-ოშკის „სიყვარულში“ პრეზიდენტს ეჯიბრება. საკმარისია პრეზიდენტმა თქვას, თურქეთის პრემიერს ველაპარაკე ქართველი სპეციალისტების ადგილზე მივლინებასთან დაკაშირებითო, რომ კულტურის სამინისტრომ უმალ არ უპასუხოს - სპეციალისტების მივლინების საკითხი რახანია თურქეთის მხარესთან შეთანხმებული გვქონდაო.

მედიაში არცთუ იშვიათად ჩნდება ცნობა, რომ თურქები რესტავრაციას ისე წარმართავენ, როგორც სურთ, რასაც უმალ მოსდევს დამწუხრებული საზოგადოების გოდება.

ძეგლთა რესტავრაციის თემა არახალია, მასთან ერთად არახალია თურქული მხარის მიერ შემოთავაზებული „ჩეინჯი“ — რესტავრაციას გავაკეთებთ, თქვენ ბათუმში მეჩეთი აგვაშენებინეთო. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა, თურქეთში ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ, განაცხადა, რომ მზადაა მეჩეთის ასაშენებლად და ისიც დაამატა, რომ ქართველები ტოლერანტები არიანო.

მაინც რა ამოვიჩემეთ ეს ტოლერანტობა, განსაკუთრებით საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, ევროპის სხვა ქვეყნების ფონზე? თანამედროვე ევროპაში მეჩეთების რაოდენობა ისე სწრაფად იზრდება, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ.

ცხადია, ყველაფერი ისე არ არის, როგორსაც ინატრებდნენ — ხშირად შეინიშნება ინგლისელთა, ფრანგთა, სხვათა აღშფოთება მუსლიმანთა საქციელის გამო. ჩვენთან რა, ეს არ ხდება? ხდება და, როგორც ჩანს კიდევაც იქნება, როდესაც ჯიქურ მიაწვები მართლმადიდებლურ მოსახლეობას. ჩემი აზრით, გაცილებით ნორმალური ვითარება იქნებოდა, რომ არა მეზობელი თურქეთის თავდაჯერებული მოწოლა „აზიზის“ საკითხში.

მაგრამ მარტო საქართველოს აწვება ზომიერი მაჰმადიანური ხელისუფლება? იქნებ საკუთარ ხალხსაც, რაც სახალხო საპროტესტო აქციებით დასრულდა. თუმცა, დასრულდა თუ არა, ჯერჯერობით არავინ უწყის. არც არვინ იცის, რას მოიმოქმედებს ხალხი ერდოღანის ავტორიტარული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ.

ერდოღანისა და მისი პარტიის დასამშვიდებლად შეიძლება ითქვას, რომ პირველი ანტისახელისუფლებო მასობრივი გამოსვლები მოგერიებულია. ტაქსიმი ტახრირად ვერ გადაკეთდა, მაგრამ აშკარაა საზოგადოების დიდი ნაწილის ანტიერდოღანული განწყობა, რაც თავისთავად მეტყველებს მორიგი გამოსვლების გამართვის შესაძლებლობაზე.

არაბულმა გაზაფხულმა, განსაკუთრებით ეგვიპტურმა, კარდინალურად შეცვალა ახლო აღმოსავლური მენტალიტეტი, ჩვეულებრივად აქცია ქუჩის საპროტესტო მიტინგებით ხელისუფლების ცვლა. ამ განწყობამდე მისვლას ეგვიპტის საზოგადოებამ არაერთი წელი მოანდომა და ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და დაამხო ჰოსნი მუბარაქი — ეგვიპტის გმირი, მფრინავი, სამხედრო მაღალჩინოსანი, ქვეყნის მესამე პრეზიდენტი — გამალ აბდელ ნასერის და ანვარ სადათის შემდეგ. (ორივენი სამხედროები იყვნენ.)

მეოთხე პრეზიდენტი მუჰამედ მურსი სამოქალაქო პირი იყო და ყველა პირობა არსებობდა იმისთვის, რომ სამხედროთა ბატონობას წერტილი დასმოდა. მაგრამ ვერ შეძლო. სუსტი პრეზიდენტი გამოდგა, იგი სამხედროებმა დაამხეს და სამხედროთა ტყვეობაში იმყოფება.

არაბული რევოლუციების ჩაკეტვა ჩრდილო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში - შეუძლებელია. 21-ე საუკუნის მოვლენა, სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. არაბული მაგალითების მსოფლიოს სხვა რეგიონებში გადატანა დიდი პრობლემა არ არის. გლობალიზაცია, ინტერნეტი — აიოლებს ამ საქმეს. მაგალითად, ერდოღანის მიერ წარმოჩინებული წარმატებული თურქეთიც კმარა.

მაინც რა არ მოსწონდათ პროტესტანტ თურქებს? უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ არიან ისეთებიც, ვისაც მოსწონს ხელისუფლება, რომლებიც პროცენტულად პროტესტანტებს აჭარბებენ. იძლევა თუ არა ორად გაყოფილი საზოგადოება ისეთი დაპირისპირების შესაძლებლობას, როგორიც დღეს არის ეგვიპტეში? სავარაუდოდ, შესაძლებელია, თუმცა, ამ ეტაპზე მხოლოდ სავარაუდოდ, რამეთუ ეგვიპტის „ძმებ მუსლიმანებსა“ და საერო საზოგადოებას შორის დაპირისპირება კარგა ხანია დაწყებულია. „ძმებმა მუსლიმანებმა“ ციხეებიც მოილიეს და იატაკქვეშ მოღვაწეობაც. სწორედ ისინი იდგნენ მეორე პრეზიდენტის ანვარ სადათის ლიკვიდაციის სათავეებთან.

რაც შეეხება თურქეთს, დაპირისპირება ზომიერ მაჰმადიანურ ხელისუფლებასა და საერო ცხოვრებით გაჯერებულ საზოგადოებას შორის, ქემალ ათათურქის შემდეგ, სერიოზულად არასდროს მდგარა. არასდროს მდგარა, ვიდრე სამხედროთა გავლენა თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე უაღრესად საგრძნობი იყო (ერდოღანის მმართველობამდე).

თანამედროვე თურქეთის მამად წოდებულმა ქემალ ათათურქმა გაანადგურა მონარქია, ხალიფატი, შარიათის სამართალი, რელიგიური სკოლები (მედრესე). აკრძალა მრავალცოლიანობა, ქალები გაუთანაბრა მამაკაცებს. არაბული ანბანის ნაცვლად შემოიღო ლათინური, უქმე დღე — პარასკევიდან კვირას გადაიტანა. სიტყვა „თურქს“ დაცინვის ნაცვლად, დიდება შესძინა. „რა ბედნიერებაა იყო თურქი“ — თქვა მან.

ათათურქის მიზანი იყო, თურქებს შეგნებულად ამოეშალათ ისლამური დოგმა - „ერთმორწმუნეობა ერზე მაღლა დგას“ და მათთვის სამშობლოს სიყვარულის უზენაესობა ჩაენერგა.

1932 წელს, ანკარაში გაიმართა ისტორიული კონგრესი, რომელსაც მეცნიერული კვლევის საფუძველზე უნდა დაედასტურებინა, რომ თურქები ცივილიზაციის აკვნიდან, ცენტრალური აზიიდან გამოსული არიული თეთრი რასის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც შუა აზიის გვალვას გამოექცნენ და სხვადასხვა ტერიტორიებზე დასახლდნენ, მოიტანეს ცივილიზაციაც. ამგვარად გამოდიოდა, რომ ანატოლია ოდითგანვე თურქული ტერიტორია იყო.

მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა გვარების შემოღება, მანამდე თურქები, ზოგადად მუსლიმანების მსგავსად, გვარებს არ ატარებდნენ. მათ მხოლოდ დაბადებისას დარქმეული სახელი ჰქონდათ.

მუსტაფა ათათურქმა, დიქტატურის წყლობით, ერი მონობისგან იხსნა, ჰიტლერის დიქტატურამ კი — თავისუფალი ერი მონად აქცია. განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა მუსტაფა ქემალს სხვა დიქტატორის, სტალინის მიმართ. მას, ის მე-20 საუკუნის უდიდეს მოღვაწედ მიაჩნდა და უაღრესად დიდ პატივს სცემდა.

ზემოთ ჩამოთვლილი რეფორმები მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ქემალ ათათურქმა გაატარა, რათა ისლამური ოსმალეთი საერო, თანამედროვე თურქეთად ექცია. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რაოდენ ძნელი იქნებოდა ტრადიციულ, მუსლიმანურ სახელმწიფოში მსგავსი, მიუღებელი „პერესტროიკა“. საზოგადოება სიხარულით არ შეხვედრია რეფორმებს. იყო დაპირისპირებაც. დაუმორჩილებელთა შერისხვაც, მოჭრილი თავებიც და ა.შ. მაგრამ იყო გამარჯვებული ქემალ ათათურქი, ახალი საერო თურქეთი და მისი გარანტი — არმია.

ასე იყო ერბაქანამდე, ისლამისტ პოლიტიკოსამდე და „კეთილდღეობის პარტიის“ შექმნამდე, რომელიც 1997 წელს, სამხედროთა ძალისხმევით აიკრძალა. პარტიის აკრძალვას დიდი შედეგი არ მოუტანია, ვინაიდან საზოგადოების გარკვეულ ფენებში არსებულმა რელიგიურმა დუღილმა სხვა სახე მიიღო. ამ მოძრაობას სათავეში ერდოღანი ჩაუდგა, რომელმაც 2001 წელს დააარსა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია - დღევანდელი მმართველი ძალა.

„მინარეთი ჩვენი ხიშტია. გუმბათი — ჩვენი მუზარადი. მეჩეთი — ჩვენი ბარაკი. მლოცველები — ჩვენი ჯარისკაცები“, — განაცხადა ერდოღანმა 1994 წელს. სტამბოლის მერმა 4 თვე ციხეში გაატარა, რეაქციული გამონათქვამისთვის. 2003 წელს კი მან და მისმა ისლამისტურმა პარტიამ წარმატებით გაიარეს არჩევნები და გაიმარჯვეს.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მან ვერ გაბედა რეფორმების გატარება, ვინაიდან ის დაუპირისპირდებოდა ყოველივე იმას, რაც შექმნა მუსტაფა ქემალმა. დრო გახდა საჭირო მომხრეთა რიგების გასაფართოებლად, საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ სწორედ ახალ ხელისუფლებას, ახალ აზროვნებას შეუძლია ეკონომიკურ-სოციალური პროგრესის მოტანა საზოგადოებისთვის.

და როდესაც მომწიფდა დრო, 2010 წელს, საყოველთაო რეფერენდუმიც ჩატარდა, რომელმაც კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა.

შესწორების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს კი აღარ ირჩევდნენ, არამედ მათ აღმასრულებელი ხელისუფლება ნიშნავდა. გარდა ამისა, დაფიქსირდა შარიათის შემობრუნებაც. ქალთა თავებზე გაჩნდა თავშალი. განსაკუთრებული ბრძოლა გამოცხადდა სამხედროთა წინააღმდეგ. 72 გენერალი დაიჭირეს. არმია უთავოდ დარჩა.ათათურქამდე პერიოდისკენ შებრუნება არ იყო მარტო ერდოღანის კაპრიზი. მას მხარს მოსახლეობის 58% უჭერდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, თურქეთმა საგრძნობლად წაიწია წინ. დღეს ის მეჩვიდმეტეა მსოფლიო ეკონომიკებს შორის. დიდი ძვრებია საგარეო პოლიტიკაშიც. თურქეთი გააქტიურდა ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით არაბულ სამყაროში, რითაც ცდილობს პრიორიტეტული პოზიცია ჩამოართვას ირანს, როგორც არაბთა ინტერესების დამცველს.

თურქეთი დაუპირისპირდა სირიის ხელისუფლებასაც, ერთ დროს მეგობარს, რაც თავისთავად ართულებს ურთიერთობას სირიის მოკავშირე ირანთან.

ბოლო წლების განმავლობაში თურქეთს ანტაგონისტური დამოკიდებულება ჰქონდა ისრაელთან, მაგრამ აშშ-ს ადმინისტრაციის, პირადად პრეზიდენტ ბარაკ ობამას დაჟინებული ძალისხმევით, წელს შერიგდნენ ისრაელისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრები.

საშინაო და საგარეო წარმატებები საერთაშორისო საზოგადოებას თურქეთის მიმართ ლიდერისწარმოდგენას უქმნიდა, ახლო აღმოსავლეთში. ყოველივე ამან დაარწმუნა ერდოღანი საკუთარი ისლამისტური კურსის სისწორეში, რაც ისლამის აღორძინების, ანტიქემალისტური მოძღვრების საწინააღმდეგო კურსია.

ისლამისკენ შებრუნება ნათელჰყოფს ერთ მარტივ ჭეშმარიტებას — ათათურქის მიერ თურქეთის გაევროპელების ხელოვნურობას. ათათურქი შეეცადა ტრადიციული მაჰმადიანური საზოგადოების ევროპად გადაკეთებას. ნაწილობრივ შესძლო კიდევაც, მაგრამ, როგორც ჩანს — ნაწილობრივ. საზოგადოება მაინც დარჩა აღმოსავლური, თავდადებული ისლამისა და მისი ფასეულობების მიმართ.

90 წლის შემდეგ თურქული საზოგადოების სულში შემონახულმა ტრადიციებმა გამოიღვიძა. მას ერდოღანის აქტიურობამ შეუწყო ხელი. ქვეყანამ დაიწყო მივიწყებული, მაგრამ მშობლიური ჭეშმარიტების გზაზე სვლა, მსოფლიო ისლამის საზოგადოებაში დამკვიდრება. ერდოღანმა დაიწყო მუსლიმანური თურქეთის აღორძინება და რაც უფრო აქტიური ფრონტით შეუტია (ცხადია შენიღბულად) ქემალიზმს, მით უფრო მწვავე გახადა თანამედროვეების საწინააღმდეგო რეაქცია.

საზოგადოება ორად გაიყო — ისლამიზაციის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ქემალ ათათურქის მცდელობას უქმად არ ჩაუვლია. თურქეთი არც არაბული ქვეყნების მსგავსი სახელმწიფოა და არც ისეთი, სადაც ისლამი დომინირებს. თურქული საზოგადოება გაცილებით წინწაწეულია და აფასებს დასავლურ ფასეულობებს. ცხადია, დასავლური ფასეულობების მიმდევარი ქალაქის მოსახლეობა, რაოდენობით ჩამოუვარდება სოფლისას, მაგრამ დიდი სხვაობა მათ შორის არ არის. პირველი კატეგორია (ქალაქის) თვლის, რომ ერდოღანი გუშინდელი დღეა და უკან მიაქანებს ქვეყანას, რომელმაც რა ხანია საერო ცხოვრების წყალი დალია.

საერო თურქეთის უმთავრესი გაგულისება გამოწვეულია შემდეგით: **ისლამიზაციის საფრთხე, ათათურქის დანატოვარის უკუგდება, პრემიერის ავტორიტარული მმართველობის სტილი, მისი უზომო აქტიურობა (როგორც ჩანს, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო), თავდაჯერებულობა, ხალხის აზრის ფეხზე დაკიდება და სხვა.**

საერო თურქეთის ქუჩაში გამოსვლას ხელი ჰკრა სტამბოლის გეზი პარკის რეკონსტრუქციის საკითხმა. ხელისუფლებას არც უცდია უძველესი პარკის შესახებ ხალხთან დალაპარაკება. შედეგი? **იგი ერდოღანისთვის იყო და როგორც ჩანს, იქნება სავალალო, ვინაიდან შეშინებულმა დემოკრატიულმა საზოგადოებამ ხმა ამოიღო.** მას ეშინოდა ხელისუფლების, სამხედროებთან კავშირში დადანაშაულების.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოჩნდნენ 90-იან წლებში დაბადებული ახალგაზრდები, ვინც კრიტიკულად აფასებს ისლამიზაციისკენ გადახრას, არ იზიარებს იმამ ფეთჰულახ გიულენის მოძღვრებას. ეს პიროვნება თურქეთში ყველაზე გავლენიანი ჯამაათის ლიდერია, თუმცა, რახანია აშშ-ში ცხოვრობს.

გიულენი ერთ დროს ერდოღანის მრჩეველიც იყო. რელიგიის გააქტიურებით ოსმალეთის დროინდელი გავლენის აღორძინება იმჟამინდელ იმპერიაში შემავალ ქვეყნებზე, არის გიულენის მოძღვრების შემადგენელი ნაწილი.

რამდენად შეძლებს თანამედროვე თურქეთი ძველი ოსმალეთის გავლენის აღდგენას, ახლო მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, ეკონომიკური გავლენის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პროცესი დაწყებულია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ავაზაკის შეშნყალებელი ავაზაკი,

ანუ რად არ შეიწყალა „გულმოწყალე“ სააკაშვილმა მცირეწლოვანი სინდისის პატიმარი?

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამეგრელოს გუბერნატორი თენგიზ გუნავა შეიწყალა, რომელსაც ნასამართლეობაც მოეხსნა.

მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას შეფასებები პოლიტიკურ წრეებში უკვე მოჰყვა. ნაციონალები გუნავას „2008 წლის ომის გმირს“ უწოდებენ, ხოლო მმართველი გუნდის წარმომადგენლები — „ავაზაკს“.

პრეზიდენტის მტკიცებით, გუნავა ადამიანის უფლებების დარღვევასა და წამებაში ეჭვმიტანილი რომ იყოს, საპრეზიდენტო შეწყალებას ვერასოდეს მიიღებდა.

პრეზიდენტის მსგავსად, უმცირესობის ლიდერები თენგიზ გუნავას „გმირს“ უწოდებენ და ინტერესდებიან, უმრავლესობის „გმირი — ბედუკაძე“ რატომ უნდა იყოს გარეთ და გუნავა ციხეში.

ირმა ნადირაშვილის განცხადებით, მმართველი გუნდის ხელდასხმით, ბედუკაძე გმირად გამოცხადდა, რომლის მსგავსად, ბევრი მწამებელი გარეთ არის და ხელშეუხებელია.

„ჩემთვის გაუგებარია, ბენზინის ტალონების ჩადების გამო, 2008 წლის ომის გმირი — გუნავა რატომ უნდა იყოს ციხეში და გარეთ ის პირები რატომ უნდა დასეირნობდნენ, რომელთაც ადამიანები აწამეს?! ამას გარდა, გაუგებარია, რატომ უნდა იყვნენ გარეთ ის პირები, რომელთაც გუნავას ნარკოტიკები და იარაღი ჩაუდეს და რატომ არ არიან ისინი დასჯილები?! პრეზიდენტის გადაწყვეტილება მისაღებია, რაც შეეხება უმრავლესობის შეფასებებს, მათი გმირი ხომ ბედუკაძეა?!“, — აღნიშნავს ნადირაშვილი.

უმცირესობისგან განსხვავებით, ხელისუფლების წარმომადგენლები პრეზიდენტის გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ გუნავას სასჯელის 1/3 არ აქვს მოხდილი, შესაბამისად, სააკაშვილს პატიმრობიდან მისი გათავისუფლების უფლება არ აქვს.

როგორც for.ge-ს ცაგარეიშვილმა განუცხადა, სააკაშვილმა გუნავას შეწყალებით, აღიარა, რომ გუნავა იყო დამნაშავე.

„მანამდე საპირისპირო განცხადებები გვესმოდა, კერძოდ, ის, რომ თურმე, გუნავა პოლიტპატიმარია. სააკაშვილმა აღიარა, რომ ის დამნაშავეა. არ მგონია, სადმე იმის პრეცედენტი იყოს, რაც დღეს მოხდა! გუნავა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია, სააკაშვილი კი, მათი ლიდერი. შესაბამისად, მან გუნავა პარტიული ნიშნით შეიწყალა და იქედან გამომდინარე, რომ მას სასჯელის 1/3 არ ჰქონდა მოხდილი, ეს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება! ამას გარდა, მაინტერესებს, სააკაშვილმა რატომ არ შეიწყალა გვანცა ყუფარაძე, რომელიც სინდისის პატიმრად აქცია და მას ოთხწლიანი სასჯელი მოახდევინა?! ყუფარაძე, რომელიც სამარტოო საკანში იყო გამოკეტილი და არასწრულწლოვანი იყო, სააკაშვილმა ის რატომ არ გაათავისუფლა?! მართალი გითხრათ, სააკაშვილისგან სხვას არ ველოდი, რადგან ის არის ავაზაკი, რომელიც ავაზაკებს ათავისუფლებს, მაგრამ „ნაყოფი ხისგან შორს არ ვარდება“ და ეს იგივეა გუნავა-სააკაშვილის ტანდემის შემთხვევაში“, — განუცხადა for.ge-ს ცაგარეიშვილმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არადეკვატურს უწოდებს და აცხადებს, რომ სააკაშვილს „გმირობასთან“ დაკავშირებით, უცნაური განმარტებები აქვს.

„ეტყობა, სააკაშვილს ეროვნული გმირის სტატუსთან დაკავშირებით, პირადი დამოკიდებულებები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის პრობლემაა ის, როდესაც საქართველოს ასეთი პრეზიდენტი ჰყავს! ქვეყნის პირველი პირია სააკაშვილი, რომელმაც გირგვლიანის მკვლელები შეიწყალა“, — განუცხადა for.ge-ს კობახიძემ.

თეონა მანაგაძე

ვაითუ, შეწყალებულს კვლავ მოუნიოს სასამართლოზე წარდგენა!

გუნავას გარდა, კიდევ ვისზე „აუჩუყდა“ გული სააკაშვილს?

საიბ-ს თავმჯდომარის კახა კოჟორიძის თქმით, მართალია, პრეზიდენტს პატიმრის შეწყალების უფლება აქვს, მაგრამ თუ მსჯავრდებულს სასჯელის ერთი მესამედი არ აქვს მოხდილი, შეწყალების აქტის გამოყენება არ შეიძლება. ეს აქტი არ გამოიყენება ასევე იმ პირის მიმართ, რომელიც არ ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

თენგიზ გუნავას საქმესთან დაკავშირებით, სამეგრელოს ეპიზოდზე ძიება გრძელდება და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მას კვლავ სასამართლოს წინაშე წარდგენა მოუწევს.

არის თუ არა პრეზიდენტის გადაწყვეტილება სასამართლოს შეურაცხყოფა და სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელყოფა, ამას დიდი განსჯა არ სჭირდება, რადგან სააკაშვილის დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ კარგადაა ცნობილი.

როგორც ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე აცხადებს, ეს უფრო სააკაშვილი გამოწვევაა ახალი ხელისუფლების მიმართ, იმისათვის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ საპრეზიდენტო არჩევნების წინ საბრძოლო სულისკვეთება აუმაღლოს.

„ამ შემთხვევაში, სამართლებრივ მხარეზე ვერ გავამახვილებ ყურადღებას, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნაწილი. რაკი საია ასეთ განცხადებას აკეთებს, ცხადია, რომ მართლაც საქმე გვაქვს პრეზიდენტის კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან.

ფაქტობრივად, ეს არის გამოწვევა „ქართული ოცნებისა“, მაგრამ ძალზე საინტერესოა, რომ „ქართულ ოცნებას“ შეუძლია ეს ფაქტი ძალიან კარგად გამოიყენოს იმის საილუსტრაციოდ, რომ კოაბიტაციის მახინჯი ფორმები არაეფექტურია, თუნდაც იმიტომ, რომ პრეზიდენტი არაკონსტრუქციულ და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ეწევა. ხაზი გაუსვას იმას, რომ დღევანდელი ხელისუფლება ხელოვნურად ცდილობს, შეუნარჩუნოს ყოფილ ხელისუფლებას ოპოზიციის ნიშა. მისცეს ჯერ პოლიტიკაში დარჩენის შანსი, შემდეგ კი რას იზამს „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი მარიფათით, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რადგან ყველა პარტია ძალიან სუსტია“, — აცხადებს ლაგაზიძე.

პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებით, სააკაშვილს კრიმინალთა შეწყალება ნამდვილად არ უჭირს.

პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა სია საკმაოდ დიდია, ჩვენ ის რამდენიმე კატეგორიად დავყავით, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს, ვის თვლის სააკაშვილი საზოგადოებაში დაბრუნების ღირსად, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორია ჩვენი პრეზიდენტის მორალური ღირებულებები.

დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

ი. კ-შვილი — მსჯავრდებული სსკ-ს 108-ე მუხლით. მისჯილი ჰქონდა 10 წელი. 2005 წელს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით მოკლა კ. ნ -ძე. სასჯელი შესწყალების აქტით გაუნახევრდა.

რ. ხ-ოვი — მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით. რესტორანში ჩხუბისას, 5-ჯერ ჩაარტყა დანა გულმკერდსა და მუცელში ს. ლ-იას. მისჯილი ჰქონდა 9 წელი. გათავისუფლდა პატიმრობისგან 04. 12. 2012 წელს.

პ. ბ-ლი — მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. რესტორანში, დანით 4 ჭრილობა მიაყენა და მოკლა ქ. ქ-შვილი. მისჯილი ჰქონდა 13 წელი. სასჯელი შეწყალების აქტით გაუნახევრდა 2-ჯერ. 12.11. 2012 წ. და 28. 12. 2012 წელს.

მ. ბ-ძე — მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 108-ემუხლით. მაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ზ. ს-ძე. მიესაჯა 17 წელი. შეწყალების აქტით შეუმცირდა სასჯელი 5 წლით. 13. 12. 2012 წელს

ა. მ-შვილი — მსჯავრდებული 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მ. ჭ-ძეს დანით მიაყენა ჭრილობა. დაზიანების შედეგად მ. ჭ. გარდაიცვალა. მისჯილი ჰქონდა 11 წელი. შეწყალების აქტით გაუნახევრდა 04. 12. 2012 წელს.

გ. ხ-შვილი — ჩაიდინა ნივთების ქურდობა და მანვე მცირეწლოვანის მიმართ განახორციელა გარყვნილი ქმედება ძალადობის გარეშე. მისჯილი ჰქონდა 2 წელი. გათავისუფლდა. 13. 12. 2012 წელს

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

ო. გ-ძე — სამართალდამცავი ო. გ მსჯავრდებულია არასრულწლოვნის წამებაში, რათა მას ეღიარებინა არჩადენილი დანაშაული. მისჯილი ჰქონდა 11 წელი. შეწყალების აქტით გაუნახევრდა სასჯელი 28. 12. 2012 წელს.

პრეზიდენტის მიერ შეწყალებული ე. ნ „ქურდული სამყაროს“ წევრები

ე. გ-იანი — მსჯავრდებული ქურდული სამყაროს წევრობისთვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნისთვის და ჯგუფური გამოძალისთვის დიდი ოდენობის ქონების მიღების მიზნით. მისჯილი ჰქონდა 24 წელი. შეწყალებული იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის მოხდისგან 2012 წლის 28 დეკემბერს.

ი. ს-ია — მსჯავრდებული ქურდული სამყაროს წევრობისთვის. მისჯილი ჰქონდა 5 წელი. გათავისუფლდა 2012 წლის 28 დეკემბერს.

ნარკოტიკული დანაშაულისთვის შეწყალებულნი

ლ.მ-შვილი — უკანონოდ გასაღების მიზნით დაუდგენელი პირებისგან შეიძინა 11 წონად დაფასოებული 3,6658 გრ. ჰეროინი. მისჯილი ჰქონდა 14 წელი. გათავისუფლდა 20.10. 2012 წელს.

ი. ბ-ძე — საფრანგეთის რესპუბლიკაში შეიძინა და გადმოზიდა 32 აბი „სუბოტექსი“. მისჯილი ჰქონდა 10 წელი. მოიხადა მხოლოდ 8 თვე. შეწყალებული იქნა 04. 12. 2012 წელს.

დ. მ-შვილი — პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 20,8639 გრ ჰეროინი. მისჯილი ჰქონდა 14 წელი. შეწყალებული იქნა 04. 12. 2012 წელს.

ამას დავუმატოთ გირგვლიანის მკვლელები, ალანია, ბიბილურიძე, ღაჭავა, აფციაური და ცხადი გახდება, რომ გუნავა პრეზიდენტის მიერ შეწყალებულთა სიაში, ღირსეულ ადგილს იკავებს.

მარიამ თოდაძე

ალიან-ჩალიანი

ნაფიცმა მსაჯულებმა მკვლელობაში ბრალდებული გაამართლეს

ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტით, მეზობლის მკვლელობისა და დაჭრისთვის ბრალდებული, 49 წლის ვაჟა ახალკაციშვილი მკვლელობის ბრალდებაში გამართლდა.

ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილება მოსამართლე ეკა არეშიძემ გამოაცხადა. ბრალდებული ვაჟა ახალკაციშვილი რამდენიმე მუხლით იყო ბრალდებული. ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტით, მას ბრალდება რამდენიმე მუხლში მოეხსნა და ბრალი დაედო იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში, ვერდიქტის მიხედვით, იგი მკვლელობის ჩადენის დროს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვაჟა ახალკაციშვილი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში, 108-ე მუხლში, ასევე 19-109-ე მუხლში, ხოლო დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველ ნაწილში, ასევე 111-ე მუხლის პირველ ნაწილში.

აღნიშნული მუხლების მიხედვით, ვაჟა ახალკაციშვილს სასჯელის შთანთქმის საფუძველზე შეეფარდა ორი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის ათვლა დაიწყო მისი ბრალის წარდგინების თარიღიდან — 2012 წლის 25 დეკემბრიდან.

როგორც სასამართლო პროცესის შემდეგ ვაჟა ახალკაციშვილის ადვოკატმა გიორგი ონიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია.

ადვოკატის შეფასებით, ნაფიცი მსაჯულების პირობებში მართლმსაჯულებაში კანონიერება დამკვიდრდება და დღევანდელი გადაწყვეტილება სამართლის ისტორიაში შევა.

ინტერპრესი

◎ ვითარება

„კონდიმ“ უნდა „გაგვანათლოს“?

რეგორც იქნა, ჩიტმა სასიხარულო ამბავი მოგვიტანა, თანაც, არც მეტი, არც ნაკლები, აშშ-დან. ქართველ პარლამენტართა („ოცნება“) ვიზიტმა ჩვენს მეგობარ ქვეყანაში დიდი ნაყოფი დაისხა — კონდოლიზა რაისის სახით. „საქართველოს რესპუბლიკა“ გვამცნობს: „ქართული ოცნების მთავრობას თავისი დახმარება შესთავაზა კონდოლიზა რაისმა, რათა ახალი ხელისუფლება უკეთ გაერკვეს ვაშინგტონის კონიუნქტურაში“. „რაისი დაგვპირდა მხარდაჭერას და უკვე გვირჩია ზოგი რამ რეგიონალური უსაფრთხოების მიმართულებით, რაც რუსეთთან ურთიერთობასთანაა დაკავშირებული“, - თქვა პარლამენტარმა თედო ჯაფარიძემ.

კეთილი და პატიოსანი, ამას რა სჯობს, მაგრამ რაისი რომ ცოტა სხვაგვარად გვახსენდება. ბუშის ადმინისტრაციაში გამოკვეთილი ადგილი ეკავა ქალბატონ კონდოლიზას, რომელმაც როგორც ნაციონალები, ისე მაშინდელი ოპოზიცია, სიყვარულის თუ სიახლოვის გამოსახატავად „კონდის“ უწოდებდა.

ჩვენთვის საყვარელი „კონდი“, სწორედ ის პიროვნება იყო, სააკაშვილს რომ ყველა მოქმედებას „უპრავებდა“. „კონდი“ არ იყო, სააკაშვილი რომ „ვერ შეაჩერა“ ცხინვალის ომის წინ? ომის შემდეგ „კონდი“ იტყვის — **მე ჩემი ვუთხარი, მაგრამ მან თავისი გააკეთაო.** თითქოს „კონდი“ ამერიკის სახელმწიფო მდივანი კი არა, რომელიმე უსუსური ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ყოფილიყო.

„რუსეთთან ურთიერთობის გარკვევაში თუ რაღაც მსგავსში დაგვეხმარებაო“, — ითქვა ჩვენი მხრიდან. და ამას ამბობს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, 200 წელი, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენი წლისაც აშშ არსებობს, რუსეთთან კავშირში იყო. ქალბატონმა რაისმა რუსეთი წიგნებიდან ისწავლა, საქართველომ? 200-წლიანი პრაქტიკული ცხოვრებიდან. და ამის მიუხედავად, მან უნდა „გაგვანათლოს“ რუსეთთან ურთიერთობაში.

ცხადია, ისტორიული გამოცდილება სხვაა, თანამედროვე პოლიტიკა — სხვა, მაგრამ სწორედ ამ თანამედროვე პოლიტიკაში ჩაისვარა ნეოკონსერვატიულმა ბუშის ადმინისტრაციამ. მის მიერ შექმნილი ვითარება — უაღრესად მძიმე — ომებითა და ეკონომიკურ-საფინანსო კრიზისებით სახელგანთქმული, დღესაც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია არა მარტო აშშ-ის, არამედ მთელი მსოფლიოს თავს.

დღევანდელი დემოკრატიული ხელისუფლების დამოკიდებულება ბუშის რესპუბლიკურ ადმინისტრაციასთან საკმაოდ მძიმეა, რაც არაერთხელ აღნიშნა ობამამ. ასეთ ვითარებაში საეჭვოდ მეჩვენება, რომ „კონდის“ რჩევები საქართველოსთან მიმართებაში ვინმემ გაიზიაროს თეთრ სახლში.

კონდოლიზა რაისი, გარდა იმისა, რომ სააკაშვილს ცხვირში გვტენიდა, ბრაიზაც თავზე დაგვასვა და ისე გააჭენა, უარესს რომ ვერ წარმოიდგენდა კაცი.

მაინც რა „მოხერხებული ხალხი“ ვართ, ეს ქართველები. თან გულმავიწყები, თორემ რაღა „კონდი“, აშშ სავსეა „სეკენ ჰენდ“ პოლიტიკოსებით, რომლებიც ნამდვილად უარს არ იტყოდნენ ჩვენს „დასახმარებლად“.

ცნობისთვის: ცნობადი სახეების საქართველოში მოზიდვა არახალია. გახსოვთ ალბათ, შევარდნაძის დროს, პოლონეთის „შოკური თერაპიის“ მამების მრჩევლობის პერიოდი. იყო ასეთი, თუმცა, საქართველოს ეკონომიკური აღზევება არ უგრძნია. ფული კი წავიდა — მრჩეველთა ჯიბეში. როგორც ჩანს, ან ჩვენ ვართ ძნელად სარჩევი ხალხი, რომ იტყვიან, ძნელად აღსაზრდელი, ან ისინი გვაკლებენ სწავლა-განათლებას, თუმცა, ვინ იცის, იქნებ „კონდის“ მეთოდმა გვიხსნას.

გასულ კვირას არცთუ უმნიშვნელო განცხადება გაკეთა რუსეთის ხელისუფლებამ, რომელსაც ქართულ მედიასა და პოლიტიკოსებში ჯეროვანი რეაქცია არ მოჰყოლია. საქმე ეხება ყველასთვის კარგად ნაცნობი გენადი ონიშჩენკოს განცხადებას, უფრო სწორად, ულტიმატუმს ამერიკელების მიერ თბილისში აშენებული ბიოლოგიური ლაბორატორიის მიმართ - **„ეს ლაბორატორია მთლიანად ამერიკას ემორჩილება, საქართველოს ხელისუფლება მას ვერ აკონტროლებს. იქ მიმდინარეობს ბიოლოგიური შტამების წარმოება, რაც საფრთხეს უქმნის რუსეთს“.**

მან მაგალითისთვის სამხრეთ რუსეთში ღორის ჭირის გავრცელება მოიყვანა და აღნიშნა: **„მოსკოვი იძულებულია, მიიღოს ზომები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“. „ამერიკული ლაბორატორია ხელს უშლის ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას“.**

მაშ ასე, სიმწრით გახსნილი რუსული ბაზარი შეიძლება დაიხუროს და თანაც სამუდამოდ, რამეთუ ამ საქმეს ამერიკული ლაბორატორიის დახურვაც კი არ შეაფერხებს, ვინაიდან დახურვის შემდეგ საკმაო დრო იქნება საჭირო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ანალიზისთვის. მაგრამ ვითომ მარტო ლაბორატორიის დახურვა იქნება საკმარისი? ან პენტაგონის მიერ მილიონობით დოლარით დაფინანსებული ლაბორატორია ასე, ერთი ხელის მოსმით, დაიხურება?

ალბათ, არა. ესეც თქვენი სტრატეგიული პარტნიორობა, პენტაგონი, ლაბორატორიას საქართველოს მსგავს სუსტ, უპასუხისმგებლო ქვეყანაში თუ გახსნიდა.

სააკაშვილის ხელისუფლების ყველაზე დიდი და ნაღმებით აღსავსე გადაწყვეტილება იყო თანხმობა ამერიკული ლაბორატორიის გახსნაზე. საქართველოს მოსახლეობას არავინ უთხრა და არც არავინ ეტყვის, რომ ქვეყანამ, რომელმაც 20 წლის განმავლობაში არც ერთი საწარმო არ გახსნა საქართველოში, რატომ მაინცდამაინც ბიოლოგიურ ლაბორატორიაში ჩაყარა მილიონები?

ბიოლოგიური იარაღი ერთ-ერთი იმ იარაღთაგანია, მასობრივი განადგურების საშუალებას რომ იძლევა, თანაც ნელა - სხვადასხვა სახის დაავადებათა გამოწვევით.

მკაცრი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაც, რასაც მოჰყვა საქართველოს ხელისუფალთა რეაქციაც — ლაბორატორიის ჯანდაცვის სამინისტროსთვის დაქვემდებარების სახით, მანამდე ის დაზვერვის დეპარტამენტს ექვემდებარებოდა. მაგრამ ჭამს ამას რუსეთი?

ძნელად დასაჯერებელია. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ყირგიზეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ბაკიევმა, რუსეთის მხარის საამებლად, მანასის აეროპორტს, რომელიც აშშ-ს სამხედრო ტვირთებს ეზიდებოდა ავღანეთში, სახელი შეუცვალა — სამხედროდან სამოქალაქოზე, თუმცა, ამით აშშ-ს თავისი მოქმედება არ შეუჩერებია.

აშშ-მ, სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმებით, საქართველო მონურ ქვეყნად აქცია. ეს ხელშეკრულება ბუშის ადმინისტრაციის არსებობის უკანასკნელ დღეებში გაფორმდა და მასში აქტიურად იყო ჩართული ჩვენი საყვარელი „კონდი“, ანუ კონდოლიზა რაისიც.

თუ საქართველოს ხელისუფლება დროულად არ გამოფხიზლდება და არ გადადგამს ერის გადარჩენისთვის შესაბამის ნაბიჯს, საქართველოში არაერთი ლაბორატორია ან სხვა სახის ობიექტი გაჩნდება ქვეყნისთვის სახიფათო, მეზობელი სახელმწიფოსთვის მიუღებელი და საშიში.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ვითარება

საქმის გაკეთება არ გინდა? კომისია შექმენი!

პარლამენტში შესაძლოა, სახელმწიფოს მიერ საკუთრების ხელყოფის დანაშაულებრივ ფაქტებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისია შეიქმნას. ინიციატივა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ეკუთვნის და, ჯერჯერობით, მხოლოდ პარლამენტის დადგენილების პროექტის სახით არსებობს. პროექტი კი სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით მომზადდა.

მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლების პირობებში საკუთრების ხელყოფის ფაქტები ძალიან ხშირი იყო და დაპირებული სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი ასპექტი სწორედ ჩამორთმეული ქონებების მათი კანონიერი მესაკუთრეებისათვის დაბრუნება უნდა ყოფილიყო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურაში რამდენიმე ათასი ასეთი საქმეა შესული, ჩამორთმეული ქონება ჯერ არავის დაბრუნებია. უფრო მეტიც, საკუთრებაწართმეული ადამიანები ჩივიან, რომ მათ საქმეებზე გამოძიებაც კი შეჩერდა.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანი, რომელსაც ბიზნესიც ჩამოართვეს და პირადი ქონებაც, არის საავტომობილო ფედერაციის დამფუძნებელი შალვა ოგბაიძე.

„კომუნისტები ამბობდნენ, — თუ გინდა საქმე არ გააკეთო, კომისია უნდა შექმნაო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და ნებისმიერი საქმე, რომელიც სამართლიანობის აღდგენას შეუწყობს ხელს, მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. უბრალოდ, ჩემთვის ერთი რამ არის გაუგებარი — რა საჭირო იყო ამისათვის თითქმის ერთი წლის გასვლა. ეს ხელისუფლება ხომ იმ დაპირებით მოვიდა, რომ სწორედ ეს უნდა დადგენილიყო, ვინ დაიჩაგრა უკანონოდ, ვის აიძულეს, ქონება თითქოსდა თავისი ნებით ჩაებარებინათ და ა.შ. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ პოლიტიკური ნება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს პროცესი ჯერ არ დაწყებულა“, — აცხადებს შალვა ოგბაიძე.

მისი თქმით, რომ არა რამდენიმე ადამიანის ძალისხმევა (მათ შორის თინა ხიდაშელის, ფინანსთა მინისტრის და ა.შ.) შალვა ოგბაიძის დარჩენილი მოძრავი ქონების გაყიდვა დღესაც დღის წესრიგშია. ამიტომაც, რეპრესირებული ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მხრიდან ცოტა უფრო მკვეთრი ქმედებებია საჭირო, სასამართლო დღეს ისევ კოტე კუბლაშვილის ხელშია და ქონებაჩამორთმეულ ადამიანებში ეს გარკვეულ ეჭვებს აჩენს. კერძოდ, შალვა ოგბაიძე აღნიშნავს, რომ, როგორი დასკვნაც უნდა მიიღოს დროებითმა კომისიამ, საბოლოო სიტყვა მაინც სასამართლომ უნდა თქვას, იმ სასამართლომ, რომელსაც კუბლაშვილი აკონტროლებს. ამიტომ, ოგბაიძეს დიდი იმედი არ აქვს, რომ სერიოზული ცვლილებები მოხდება.

„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ თავმჯდომარე, იურისტი ლია მუხაშავრია კატეგორიულად არ ეთანხმება კომისიის შექმნის იდეას, რადგანაც თვლის, რომ კომისიას შეუძლია მხოლოდ პოლიტიკური შეფასება მისცეს ამ მოვლენებს. ახლა კი ამის საჭიროება არ არსებობს, რადგან უდავოა, რომ იყო უკანონობა და გამოძიება არის საჭირო იმისთვის, რომ დარღვეული უფლებები აღდგეს.

მისი თქმით, პროკურატურას ძალიან დიდი ხნის წინათ შეეძლო ამ საქმეების გამოძიება და სასამართლოსთვის გადაცემა, მაგრამ პოლიტიკური ნება არ არსებობს.

პროფესორი გია მეფარიშვილი („კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“) აღნიშნავს, რომ ეს პრობლემა ახალი არ არის, დიდი ხანია მასზე მსჯელობა მიმდინარეობს და მისასალმებელია, თუკი ასეთი კომისია შეიქმნება და მას ძალიან ბევრი საქმე ექნება, რადგან 2004-2012 წლებში ბიზნესსამყაროს მიმართ იყო არაერთ აღმაშფოთებელი ძალადობის ფაქტი.

„ქართული სახელმწიფო ბიზნესს ატერორებდა, ამ სიტყვის სრული მნიშნელობით და უკვე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაა შექმნილი, მათ შორის საკმაოდ კოლორიტული სახელწოდების მქონე ორგანიზაცია „დააბრუნე“, რომელშიც 300-ზე მეტი ბიზნესმენია გაერთიანებული“, — ამბობს გია მეფარიშვილი.

მისი თქმით, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საპარლამენტო კომისია მხოლოდ პოლიტიკურ შეფასებას გააკეთებს, თუმცა, ეს ვერ მოხსნის იმ სიმწვავეს, რაც ამ პრობლემას ახლავს. იურისტს მხედველობაში აქვს ის, რომ **9300-ს აჭარბებს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც სახელმწიფოს თავიანთი ქონება „ნებაყოფლობით“ გადასცეს.** ამიტომ, მეფარიშვილი მიიჩნევს, რომ თუ საგამოძიებო კომისია ამ ფაქტებს შეფასებას მისცემს, ბევრი წყალქვეშა დინება იქნება დადგენილი და საზოგადოებისთვის ბევრი არასასიამოვნო ფაქტი გახდება ცნობილი. აქვე იურისტი აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი დროში გაწელილი პროცესია და აუცილებელია ამ ფაქტებზე გამოძიების ჩატარება და შესაბამისი სამართლებრივი შეფასების მიცემა.

გია მეფარიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი 4-5 თვის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა წართმეული ქონებების სხვა პირებზე გადაფორმება და ამიტომ, თუკი, 2-3 თვის განმავლობაში ეს პრობლემა არ მოგვარდება, იურისტი მიიჩნევს, რომ ამის შემდეგ უკვე ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. გარდა ამისა, **მეფარიშვილი ყურადღებას ამახვილებს გავრცელებულ ინფორმაციაზე იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს, წართმეული ქონებების ღირებულება 4-5 მილიარდს შეადგენს.** იურისტი ამბობს, რომ არ იცის, საიდან არის ეს რიცხვი აღებული, მაგრამ მას სერიოზული გამაფრთხილებელი ძალა აქვს.

რუსიკო უშიკიშვილი

◎ ვინც თავი გაწირა

მხედრული სული

სერჟანტი გიორგი ბადრიაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. დაკრძალულია ქალაქ გორში.

ის ჯარისკაცად იყო დაბადებული.

გიორგი ბადრიაშვილს ბავშვობიდანვე თავისებური ხასიათი დაჰყვა. ემოციური იყო და ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა იცოდა. ახლობლების უზომოდ მოსიყვარულესა და კეთილს ასევე უზომო ერთგულებით გამოარჩევდნენ მეგობრები. ჩხუბისთავი არასოდეს ყოფილა, მაგრამ გამშველებლის მოვალეობას ყოველთვის კისრულობდა, რის შემდეგაც სახლებში დაარიგებდა დაწყნარებულ-დაშოშმინებულ მეგობრებს... სწორედ ამ თვისების გამო შეარქვეს ტოლებმა გიას მეტსახელად „ღობე“...

თურმე, ტყუილუბრალოდ არაფერი ხდება წუთისოფელში. გაიარა დრომ და გია ბადრიაშვილი მართლაც ღობედ და ჯებირად დაუხვდა სამშობლოში შემოჭრილ მტერს... დაუხვდა და მამულს მკერდით გადაეფარა, მარადიულ ჯარისკაცად შერჩა წუთისოფელს ოცდაშვიდი წლის გორელი ვაჟკაცი.

როცა რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო, გიას სულ შვიდი თვე ჰქონდა გატარებული საკონტრაქტო სამსახურში. პროფესიით იურისტი, გორის ჯავშანსატანკო ბატალიონში დაცვის ასეულის სერჟანტად მსახურობდა. როგორც კი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, უნდოდა, პირდაპირ ცხინვალში წასულიყო, მაგრამ გორში დატოვეს.

გიორგის ცოლ-შვილი და მშობლები შვიდ აგვისტოს ისევ გორში იყვნენ, როცა ნაწილში მყოფმა შვილმა სახლში დარეკა და მათ დაჟინებით მოსთხოვა, ქალაქს გარიდებოდნენ. განსაკუთრებით მზრუნველი მამა იყო, თავზე ევლებოდა ერთადერთ ქალიშვილს, ანანოს, რომელიც მაშინ მხოლოდ ერთი წლისა იყო. გიას მეუღლემ, მარინე დავითიანმა ბავშვი გორიდან ხაშურში მამიდასთან წაიყვანა... ხაშურს შეეფარნენ გიას და და მშობლებიც...

მანამდე კი, თითქოს გულმა უგრძნო, ყაზარმული მდგომარეობის გამოცხადებისთანავე, რადგან შინ ველარ მიდიოდა, მეუღლეს მოსთხოვა, ბავშვი ნაწილში ამომიყვანეო. ბავშვს გაგიჟებით ეფერებოდა, ამბობდა, ჩემი გოგოც და ბიჭიც შენა ხარ... არადა, ბევრი შვილის ყოლა თავისი გვარის პატივისმცემელი და დამფასებელი იყო... მომავლის იმედით სულდგმულობდა, მარინესთან ერთად უამრავ გეგმას ისახავდა. ისეთი იყო, რასაც ჩაიფიქრებდა, ასრულებდა კიდეც... მშობლებს ეთაყვანებოდა, მოწიწებით შესცქეროდა მამას თვალებში, ოჯახში იცოდნენ, რომ მათი გულისთვის ყველაფერს გააკეთებდა. ღირსეულ შვილს სიამაყითა და სიხარულით შეჰყურებდნენ მშობლები...

გულდაწყვეტილი იყო, გორში რომ დატოვეს. გული იქითკენ მიუწევდა, სადაც თავისი ვაჟკაცობის გამოცდა უნდოდა...

გია ბადრიაშვილის თაობას ბევრი პრობლემა დახვდა მოსაგვარებელი, ბევრი რამ ვერ გააკეთა წინა თაობამ, რომ შვილები ასეთ დღეში, ამხელა პასუხისმგებლობის წინაშე არ აღმოჩენილიყვნენ...

ომის დაწყებისთანავე, როგორც კი რუსეთის საჯარისო ნაწილები გამოჩნდნენ როკის გვირაბის აქეთ, იგრძნეს ბიჭებმა, რომ სამშობლო მათგან უდავოდ მსხვერპლშეწირვას მოითხოვდა... მერე კი, როცა თავზარდამცემი ამბები მოდიოდა ფრონტის წინა ხაზიდან, უკვე სიკვდილის პირისპირ მდგარი ჩვენი ბიჭები ზურგში მყოფი ოჯახებისა და ახლობლების სიცოცხლეზე უფრო მეტად ფიქრობდნენ, ვიდრე საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე...

რვა აგვისტოს დამ დაურეკა სერჟანტს, მე არაფერი მიჭირს, თავს გაუფრთხილდით, სთხოვა ძმამ. მას შემდეგ, დიდი მცდელობის მიუხედავად, სატელეფონო კავშირი შეწყდა... ცხრა აგვისტოს დილის, 10 სთ და 30 წუთზე ქალაქ გორში რუსულმა ავიაციამ ჯავშანსატანკო ბატალიონის ტერიტორია დაბომბა. ზუსტი დარტყმები მიაყენა სამხედრო ნაწილს... დაიჭრნენ და დაიღუპნენ ბაზაზე მყოფი სამხედრო მოსამსახურეები. სხვა თანამებრძოლებთან ერთად ადგილზევე დაიღუპა სერჟანტი გიორგი ბადრიაშვილიც...

როგორც კი ხმა გავარდა ბაზის დაბომბვის შესახებ, ხაშურში რაღა გააჩერებდათ მისი ოჯახის თავზარდაცემულ წევრებს. გამწარებულმა დედამ და ცოლ-შვილმა ტყვიების წვიმაში, დიდი განსაცდელის პირობებში გამოიარეს გზა ხაშურიდან გორამდე...

დედამისი დღემდე ვერ ეგუება ერთადერთი ძის სიკვდილს, მამის გულიც დაცარიელდა შვილის დაკარგვის გამო... გიას ცხედარი ისე იყო დამწვარი, მამამ ძლივს ამოიცნო თავისი ვაჟკაცი... ოჯახის წევრებს ამის გამო ნება არ დართეს, კუბო გაეხსნათ და ისე ეგლოვათ.

კოშმარული იყო 2008 წლის 9 აგვისტოს ღამე ბადრიაშვილების ოჯახისთვის. ქალაქი ევაკუირებული იყო... დილით, ათ აგვისტოს, დაცლილი და გაუკაცრიელებული ქუჩებით მიასვენებდნენ გორელი ვაჟაკაცის ცხედარს ოჯახის წევრები... ერთ ღამეს ესვენა მხოლოდ მისი ცხედარი საკუთარ სახლში, მეორე დილით მიაბარეს მისთვის ასე საყვარელი ქალაქის მიწას...

ანანო მამას ახლა მხოლოდ სურათებით ცნობს. იცის, რომ გმირის შვილია, იცის, რომ მამა სამშობლოს დაცვას შეეწირა... ხოლო როცა სერჟანტის ახალგაზრდა ქვრივი ობოლს გორის №1 სკოლის გვერდით ჩაატარებს, ანანო ამბობს, აქ მამაჩემი სწავლობდაო.

გიორგიმ მხოლოდ 27 წელი იცოცხლა. მრავალი ოცნება განუხორციელებელი დარჩა.

ლია ჭიღლაძე

◎ ინტერნეტიდან

საუკუნე რამე კავშირშია წესიერებასთან?

პანელიდან აყვანილი გოგო გინდათ რძლად?!

„მე ვფიქრობ, ქალიშვილობის მთავარ ცნობას გასცემს მეუღლე“, — ასეთი კომენტარი გააკეთა მმართველი პარტიის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა მედიასთან საუბარში ქალიშვილობის ცნობის გაცემის საკითხთან დაკავშირებით.

„მეუღლე არის მთავარი გამცემი პირი ცნობის, ამიტომაც თუ მეუღლე, როგორც მთავარი ცნობის გამცემი, დაინტერესებულია იურისტების და ექსპერტების ჩარევაში, ვერ დავუშლით. ასე რომ, შევხედოთ ამ საკითხს უფრო მსუბუქად და დაველაპარაკოთ მეუღლეებს“, — ამბობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი.

30 ივლისს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან აქცია გაიმართა სახელწოდებით „ვხურავთ ქალიშვილობის ინსტიტუტს“.

აქციაზე შეკრებილები ექსპერტიზის ბიუროს მიერ ქალიშვილობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემას აპროტესტებდნენ. აქციის ორგანიზატორი „ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი იყო“, ისინი ბიუროსთან ტრანსფარანტებით მივიდნენ, რომლებზეც იყო წარწერები **„მე არ ვარ ნივთი“, „შეუწყდეს აკრედიტაცია ქალიშვილობის ინსტიტუტს“, „ჩემი სხეული ჩემი საქმეა“.**

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ქალიშვილობის მოწმობის არსებობის ფაქტი მისთვის მიუღებელია და ეს მხოლოდ **„ჩამორჩენილობის დიდი ნიშანია“.** ამის შესახებ კომენტარი მინისტრმა შრომის ახალი კოდექსის პრეზენტაციის შემდეგ გააკეთა. როგორც ბოლო ხანებში გახდა ცნობილი, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში „ქალიშვილობის მოწმობას“ გასცემენ. როგორც აღმოჩნდა, ბიუროს წელიწადში, საშუალოდ, 200-300 ასეთ მოწმობის დამზადება უწევს.

და აი, კომენტარებიც ინტერნეტიდან:

„შენ გენაცვალე, ყოჩაღ თეა, გეთანხმები“.

„ჩამორჩენილობაა აბა რა არის“?

„ქალიშვილობის „დამოწმება“ და ამაზე საბუთის გაცემა შეიძლება ჩამორჩენილობის ნიშანი იყოს, მაგრამ ე.წ. „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ საერთოდ არ ნიშნავს ჩამორჩენილობას, როგორც ამას ზოგიერთი „ქადაგებს“. და ეს ადამიანები არა შემოწმება-ექსპერტიზის, არამედ ზოგადად ქალიშვილობის ანტიპროპაგანდას ეწევიან. სწორედ ამაში არის ძაღლის თავი დამარხული“.

„სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ახალი ბიზნესი. სირცხვილია, პაპუასების დონეზე გვაქვს საქმეეე..... რა მოწმობა რის მოწმობა ... ვაი.... ვაიი...

„სულის უმანკოებაა მთავარი, ალბათ, თორე ბევრ ქალიშვილს არ აკლია სექსი“...

„მეტი პრობლემა არ აქვს საქართველოს“.

„გადავირიე. ჯერ იყო და პრეზერვატივების საკითხით გავითქვით სახელი. ახლა ქალიშვილობის თემა დააყენეთ დღის წესრიგში“.

„ამ მთავრობას მეტი საფიქრალი აღარ აქვს“?

„თუ ქალიშვილობის ინსტიტუტი უნდა დახუროთ, მაშინ ერთ კითხვას დავსვამ. გულაობის მერე რატო დგება ხოლმე რიგი ექიმთან და ყველა ცდილობს, გაიკეროს და ისევ ქალიშვილი გახდეს“?

„ეს მოწმობა მართლა არსებობს თუ ხუმრობა იყო, ვეღარ გავიგე“...

„ბარემ შუბლზე ამოისვირინგონ დაუზიანებელი აპკი რომ აქვთ, წარწერის გვერდზე სიამაყის სმაილიკიც მიახატონ“...

„ეს ლევან სამხარაულის ბიურო ცოცხზე უნდა შესვა და გააფრინო. და ის, ვინც იქ დადის, მაგის საბუთით დასამტკიცებლად, ესე იგი მეტის ღირსი არ არის, და რომელ ღირებულებებზე და ურთიერთობებზეა ლაპარაკი. ფუი ფურთხის ღირსები“...

„ეს ფაქტი იმდენად დელიკატურია, რომ ამისი ასე გამომზეურება და საქვეყნოდ აგდება არ ეკადრება ქართულ ტრადიციებს, მე პირადად მრცხვენია“!

„მოწმობაზეა საუბარი.. მოწმობაა სიმახინჯე, აბა, რა არის? და ისიც სიმახინჯეა, კაცმა რო იცის, რო არაა ქალიშვილი და მაინც მიყავს და აკერინებს... ჯობია ყველამ თავის ცხოვრებას მიხედოს.. ქალიშვილი იქნება თუ არა, ეს იმ ადამიანების გადასაწყვეტია. მარა არც ისაა დასაცინი, ვინმე თუ ქალიშვილია. ერთმანეთში რო ვურევთ ყველაფერს, იმიტომ არ გამოგვდის არაფერი, ორივე მხარეს ეხება ეს“..

„აქამდე მეგონა ხუმრობით ლაპარაკობდნენ ამ საკითხებზე, არც დავინტერესებულვარ, რამ დააგიჟა ეს ხალხი, ავღანეთია თუ საქართველო?“

„მეტი პრობლემა ქვეყანას აღარა აქვს ხალხო? ასეთ დელიკატურ თემას რა საბუთი უნდა, ან ვის, რომელ საქმროს უნდა შებედო „მე ცნობა მაქვსო,“... გაგიჟდნენ... ამ იდეის ავტორები?

„ამაზე ხარჯავს ეს ქალი დროს?“

„სადაა ხალხი, თორემ ეგეც გასაშვებია იმ ქვეყანაში, სადაც სატრფო ელოდება; და ამდენ ხანს როგორ ძლებენ სექსის გარეშე? ან ის არაა კაცი, ან ეს ქალი... მეტი რა უნდა ვიფიქროთ“

„მაგარი ქალია“.

„1. კითხეს და უპასუხა. 2. ჩამორჩენილობა კი არა, ამაზრზენია ამგვარი მოწმობების არსებობა საქართველოში. 3. ყველამ ჩვენ ცხოვრებას რომ მოვხედოთ, ჯობია. ვისაც უნდა იყოს ქალიშვილი, მაგრამ ამის ყველასთვის დაკანონება არასწორია. ვინ მკითხავს მე, როგორ ცხოვრობს ჩემი მეზობელი ჟუჟუნა“?

„ნნ-ის ვხდები. ჩემს ქალიშვილობაში არ იყო მაგაზე ლაპარაკი. ახლა, 21-ე საუკუნეში ორ ადამინს თუ უყვარს ერთმანეთი, ცნობა რად უნდა, ის საუკუნეა თუ რა“...

„კიდევ კარგი, წულუკიანი ნაციონალი არ არის! თორემ ნამდვილად ჩაქოლავდნენ! ან კიდევ ერთ რევოლუციას მოაწყობდნენ! ახლა ყველა კმაყოფილია, პასუხით, მეტი რა გზა აქვთ“?!

„საუკუნე რამე კავშირშია წესიერებასთან? პანელიდან აყვანილი გოგო გინდათ რძლად“?!!!

თავის მხრივ, განცხადება გაავრცელა ექსპერტიზის ბიურომაც, სადაც წერია, რომ ექსპერტიზის ბიურო არანაირ „ქალიშვილობის დამადასტურებელ“ ცნობებს არ გასცემს.

„სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მომართვის საფუძველზე ატარებს 450-ზე მეტი ტიპის სხვადასხვა საექსპერტო კვლევას და შესაბამის კვალიფიციურ დასკვნას გასცემს. ექსპერტიზის ბიურო არ აწარმოებს არანაირი „ქალიშვილობის დამადასტურებელი“ ცნობების გაცემას...

ეს არის სრულად სასამართლო-სამედიცინო ტიპის გამოკვლევა და დასკვნა არ შეიცავს ჩანაწერს „ქალიშვილობის“ შესახებ. აღნიშნული სცილდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციის სფეროს. რაც შეეხება ე.წ „ქალიშვილობის“ დადგენას, აღნიშნული მომსახურების მიღება შესაძლებელია ნებისმიერ კვალიფიციურ გინეკოლოგიურ დაწესებულებაში“, — ნათქვამია ექსპერტიზის ბიუროს განცხადებაში.

ნატა ნიბლაძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,

საქართველოში მსოფლიო ბანკის სატრანსპორტო პროექტების განმახორციელებელი უწყების სახით იწვევს დაინტერესებულ პირებს გარემოს დაცვის კონსულტანტის პოზიციაზე განაცხადის წარსადგენად.

შესავალი

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო რამდენიმე სესხი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესებისათვის. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტს E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სვენეთი-რუისის მონაკვეთის გაუმჯობესების მიზნით და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პირველ პროექტს რიკოთის გვირაბის რეკონსტრუქციისათვის. ასევე, მთავრობამ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში E-60 ავტომაგისტრალის აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთის მოდერნიზებისათვის, რაც საჭიროებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ეფექტურ მენეჯმენტს ამ პროექტების წარმატებით განხორციელების მიზნით.

წინამდებარე ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულია გარემოს დაცვის კონსულტანტის დავალებები საავტომობილო გზების დეპარტამენტის დახმარების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე ღონისძიებების ფარგლებში სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად განხორციელება.

პროექტის მიმოხილვა

პროექტი ძირითადად ორიენტირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის რუისი-აგარასა და აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთების რეაბილიტაციასა და მათი არსებული 2-ზოლიანი გზიდან 4-ზოლიან ავტომაგისტრალად გაუმჯობესებაზე. კერძოდ, მსოფლიო ბანკის დაფინანსება მოიცავს შემდეგ მონაკვეთებს: პირველი 11 კილომეტრი რუისის დასავლეთით მიუყვება არსებულ მიმართულებას, შემდგომი 8 კილომეტრი მოიცავს აგარას შემოვლით გზას, ხოლო მომდევნო 12-კილომეტრი მოიცავს აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთს.

გარემოს დაცვის კონსულტანტის პასუხისმგებლობები

გარემოს დაცვის კონსულტანტი დახმარებას გაუწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტს იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის ფარგლებში ყველა ფიზიკური სამუშაო განხორციელდეს არსებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და ამ პროექტისთვის შემუშავებული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის შემადგენელი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის მკაცრი დაცვით. მოთხოვნის შემთხვევაში, სგდ-ს ანალოგიური დახმარება გაეწევა შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტისა (SLRP-II) და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე სხვა პროექტების განხორციელებაში. აღნიშნული დავალების შესრულება გულისხმობს სგდ-ს ძირითად გარემოსდაცვით პერსონალთან ყოველდღიურ თანამშრომლობას და მოიცავს ქვემოთ მოცემულ საკითხებს:

- სგდ-ს მიერ დაქირავებული მშენებლობის ზედამხედველი საკონსულტაციო ფირმისგან გარემოს დაცვის მონიტორინგის ყოველთვიური ანგარიშების დროულად მიღების აღრიცხვა, ამ ანგარიშების შეფასება და მათ დასახვეწად, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების წარმოდგენა. შესაბამისი ანგარიშების მომზადება ყოველკვარტალურად მსოფლიო ბანკისთვის მისაწოდებლად. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის დარღვევის შემთხვევაში, ზედამხედველი კონსულტანტის მიერ რეკომენდებული გამოსასწორებელი ღონისძიებების ადეკვატურობის შემოწმება; დაფიქსირებული დარღვევების და მათი გამოსასწორებელი ღონისძიებების გამოყენების გაკონტროლება.
- სამშენებლო უბნების რეგულარულად მონახულება, ზედამხედველი კონსულტანტის ანგარიშებში წარმოდგენილი ფაქტიური ინფორმაციის შესაბამისობის დასადგენად და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ შეუსრულებელ და/ან სარისკო გარემოსდაცვით საკითხებზე უშუალოდ სგდ-ს კონტროლის უზრუნველყოფა.
- ნებისმიერი დამატებითი ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი კვლევების განხორციელებაში და/ან ადგილ-სპეციფიკური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და სგდ-სთვის და მისი კონსულტანტებისთვის (თუ შესაბამისია) დახმარების გაწევა, თუ საჭირო გახდა პროექტების განხორციელების პერიოდში.
- საერთაშორისო პროექტების სამმართველოს მიერ პროექტის განხორციელების მიმდინარეობის ყოველთვიური ანგარიშების შემუშავებაში მონაწილეობა, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების დოკუმენტებთან შესაბამისობის სტატუსის შესახებ წერილობითი ანგარიშის წარმოდგენას.
- დეპარტამენტის გარემოს დაცვის სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ყველა მიმდინარე საკითხებში ჩართულობა და შესაბამისი დახმარების გაწევა.
- დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა სხვა გარემოსდაცვითი საკითხებისა და ამოცანების შესრულებაში, რომელიც შესაძლოა დროდადრო დაევალოს.
- თანამშრომლებისა და ადგილობრივი სპეციალისტებისთვის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, სწავლებაში დახმარება და ყოველგვარი მხარდაჭერა.
- დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა მომდევნო პროექტებისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმების (EMP) განხილვასა და სრულყოფისათვის; შესაბამისად, კონსულტანტებთან ერთად მჭიდრო მუშაობის უზრუნველყოფა და თანამშრომლობა.
- საჯარო შეხვედრებში თანამონაწილეობა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად.

გარემოს დაცვის კონსულტანტის კვალიფიკაცია და გამოცდილება

გარემოს დაცვის კონსულტანტი უნდა იყოს კვალიფიცირებული კონსულტანტი მინიმუმ 5-წლიანი სამუშაო გამოცდილებით ბუნებრივი მეცნიერების სფეროში და უნდა გააჩნდეს ბუნებრივი გარემოს მენეჯმენტის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. განსაკუთრებით სასურველია ინფრასტრუქტურული პროექტების გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გამოცდილება. წარმატებული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სრული უმაღლესი განათლება ბუნებრივი მეცნიერების სფეროში.
- ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების გარემოსდაცვითი შეფასებების განხორციელების, მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმვის, და/ან მსგავსი გეგმების განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება.
- საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების სრულყოფილად გაგების უნარი.
- სასურველია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებულ პროექტებში გამოცდილება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით.
- ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა.

დაქირავების პირობები:

გარემოსდაცვითი კონსულტანტი ანგარიშვალდებული იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის, კერძოდ, განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს წინაშე.

გარემოს დაცვის კონსულტანტი იმუშავებს სრული განაკვეთით 12-თვიანი კონტრაქტის საფუძველზე (3-თვიანი გამოსაცდელი პერიოდით), დამაკმაყოფილებელი მომსახურების შემთხვევაში საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივით.

განაცხადს თან უნდა ახლდეს ინტერესის გამოხატვის წერილი და CV ქართულ და ინგლისურ ენებზე. განაცხადები უნდა გამოგზავნოთ ელექტრონულ ფოსტაზე: info@georoad.ge გთხოვთ, განაცხადის გამოგზავნისას შესაბამის ველში მიუთითეთ პოზიცია, რომელზეც შემოგაქვთ განაცხადი. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2013 წლის 09 აგვისტო**.

დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს შესყიდვების ორგანიზების განყოფილებას

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12

ტელ: +995 322 37-05-08 (305)

ფაქსი: +995 322 31-30-34

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia,

as the World Bank Transport Projects' Implementing Agency in Georgia is soliciting applications for the position of **Enviromental Consultant**.

Background

The Government of Georgia has received series of loans from the World Bank for upgrading sections of the East-West Highway. Roads Department (RD) of the Ministry of Regional Development and Infrastructure is implementing the Third East-West Highway Project (EWHIP-3) for upgrading Sventi-Ruisi and Ruisi-Agara sections of the Highway and the First East-West Highway Improvement Project (EWHIP-1) for reconstructing the Rikoti tunnel. The Government has also received support from the World Bank for the Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4) for upgrading Agara-Zemo Osiauri section of E-60 Highway that requires dedicated management from the RD to ensure successful implementation of these projects.

This Terms of Reference defines the tasks of an Environmental Consultant to supplement in-house capacity of the RD to ensure that rehabilitation and construction works undertaken as part of the World Bank supported operations are carried out in compliance with the national environmental legislation and the environmental policies of the World Bank.

Project Overview

The mentioned projects will mainly focus on the rehabilitation and upgrading of Ruisi-Agara and Agara-Zemo Osiauri sections of the East-West Highway from the present two-lane road to a limited access 4-lane highway. In particular, the World Bank's financing supports upgrading of the first 11 km west of Ruisi followed by 8 km of Agara-bypass and next 12km of Agara-Zemo Osiauri Section of the East-West highway.

Responsibilities of the Environmental Consultant

The Environmental Consultant will help the RD to ensure that all physical works performed under the TEWHIP and EWHIP-4 are in compliance with the national environmental laws and regulations and strictly follow Environmental Management Plans (EMPs) provided as a part of the Environmental Impact Assessments (EIAs) report of these projects. Similar assistance to the RD shall be provided, upon demand, for the purposes of implementing other ongoing and upcoming World Bank supported projects led by the RD. Carrying out this assignment would imply daily cooperation with the core environmental staff of the RD and will comprise of the following tasks:

Track timely receipt of the monthly environmental monitoring reports from the construction supervision consultant firm hired by the RD, assess these reports and provide recommendations for their improvement as required, prepare reports on a quarterly basis for submission to the World Bank, check adequacy of the corrective measures recommended by the supervision consultant in case of EMP violations; track follow-up on the recorded violations and application of the prescribed corrective measures;

Undertake regular field trips to the project sites for verifying relevance and coverage of the factual information provided in the supervision consultant's reports, and providing Roads Department's direct oversight of the outstanding and/or high risk environmental issues related to the project implementation;

Participate in carrying out any supplemental site-specific environmental studies and/or developing site-specific EMPs and assist RD and its consultants (if relevant) if and as required in the course of the projects' implementation.

Participate in the FPU's team work for the development of monthly progress reports on the project implementation through provision of write-up on the status of environmental safeguards compliance.

Closely collaborate with the RD environmental staff to ensure involvement in all current issues and provide relevant assistance.

Assist RD in implementation other environmental matters and tasks that may be assigned from time to time.

Assist in training the local specialists and staff, ensure proper transfer of skills and experience and support in every possible way.

Assist RD in review and refinement of EMPs prepared for further projects and accordingly ensure close collaboration and cooperation with the consultants.

Participate in public meetings together with the RD staff.

Qualifications and Experience of the Environmental Consultant

The Environmental Consultant shall be a qualified professional in the field of natural science with at least 5 years of work experience and shall have relevant practical skills in environmental management. Direct experience in environmental management of infrastructure development projects would be particularly desirable. The successful candidate should have

Completed high education in the field of natural science.

Practical background in carrying out environmental assessments of and management planning for infrastructure development projects, and/or implementing of such plans.

Good grasp of the Georgian environmental law, regulations, and standards.

Experience in environmental related issues under the projects funded by International Financial Institutions is preferred.

Strong Georgian and English language skills.

Terms of Emplyment

The Environmental Consultant will report to the RD, in particular, Resettlement and Enviromental Division.

The Environmental Consultant will be mobilized on a full time basis for 12 months contract (including 3 months trial period), with the possibility for downstream work subject to satisfactory performance.

Applications should include Letter of Interest and Curriculum Vitae in Georgian and English Languages. Applications must be submitted via email to info@georoad.ge. Please indicate the position in subject line. Deadline for applications: **August 09, 2013**.

To obtain detailed information, please contact:

Procurement Organization Unit of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Tel: +995-322-37-05-08 ext. 305

Fax: +995-322-31-30-34

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

◎ ფეხბურთი

რა ლიგა, რი ლიგა

როცა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე კენჭისყრამ თბილისის „დინამოს“ მეტოქეობა ბუქარესტის „სტიაუას“ არგუნა, ჩვენი გუნდის სასარგებლო არგუმენტები მაშინვე ამოიქექა და ასეთმა პროპაგანდამ ბევრი დაარწმუნა, თითქოს ცალი ფეხი უკვე ჯგუფურ რაუნდში გვქონდა შედგმული.

იცოცხლეთ, გასათვალისწინებელია ტრადიციების ფაქტორი, როდესაც ზურგს რუმინელებთან ევროტურნირებში აქამდე ნათამაშევ შეხვედრათა დაუმარცხებელი სერია და ჩეხმწვრთნელ დუშან უჰრინის კარპატულ კარიერაში არმიულ კლუბთან ასევე წაუგებელ ბრძოლათა ნუსხა გიმაგრებს, მაგრამ სტატისტიკას რომ გამარჯვებები მოჰქონდეს, რაღა გვიჭირდა.

„დინამო“ – „სტიაუა“ 0:2 (0:0)

გოლები: იანკუ (64-ე და 81 წთ).

61-ე წუთზე ჩისკომ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე).

დინამოელთა პრეზიდენტმა რომან ფიფიამ დიღმის ბაზის წალკოტად ქცევითა და ვიტალი დარასელიას სახელობის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის გახსნით მართლაც რომ საშვილიშვილო საქმეები გააკეთა, მაგრამ თუ ევროპულ ელიტაში დაბრუნებას ისახავდა მიზნად, რის თაობაზეც არაერთხელ განაცხადა, კეთილი უნდა ენება და სეზონის წინ ისეთი სასელექციო პოლიტიკა განეხორციელებინა, ძირითადი შემადგენლობის საკვანძო ფიგურებს ვინლა ჩივის, სათადარიგოთა სკამის სრულფასოვანი წევრები მაინც მოეძია.

რაც შეეხება სტუმრებს, მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, შემთხვევით რომ არ არიან გაშინაურებულნი ბობოლებთან და წლეულსაც საფუძვლიანი ამბიციებით რომ საზრდოობენ.

ვიცი, მრავლად გამოჩნდებიან ისეთნი, ნიშნის მოგებით რომ ჩაიქირქილებენ, აბა ერთი ჩისკოს პენალტი გაეტანა და მერე ვნახავდით, როგორ დასრულდებოდა თამაშიო. კი, ბატონო, შეიძლება პირველი ბრძოლა მოგვეგო, მაგრამ ასეთი კონტინგენტით მთლიანად ომში წარმატებისა და მორიგ ეტაპზე გასვლისა რა მოგახსენოთ.

გია პლატონიშვილი

◎ ფიგას ეგიდით

ზღვისპირეთი დაამშვენა

EURO BASKETBALL BATUMI 2013 აზარტული თამაშების კომპანია „ევროპაბეთის“ ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა. აჭარის დედაქალაქმა კალათბურთთან ერთად ნარდისა და პოკერის ტურნირებს უმასპინძლა.

Euro Basketball Batumi 2013-ის ორგანიზატორები გახლდნენ საქართველოსა და აჭარის კალათბურთის ფედერაციები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ხოლო საინფორმაციო მხარდაჭერას ტურნირს ტელეკომპანია „რუსთავი-2“ უწევდა.

ტურნირი ოლიმპიური სისტემით მოეწყო და მასში 30 გუნდი ჩაება. 3X3-ზე კალათბურთში დამკვიდრებული წესების თანახმად, ტურნირში პროფესიონალი კალათბურთელები არ მონაწილეობდნენ, თუმცა მრავლად იყვნენ ისეთები, რომლებსაც წლების მანძილზე უმაღლეს ლიგაში უთამაშიათ.

მეთექვსმეტედფინალიდანვე საინტერესო ბრძოლები გაჩაღდა და ასე იყო ფინალის ჩათვლით. აღსანიშნავია ბათუმელთა ორივე გუნდის ბრძოლა და შემართება, თუმცა გამარჯვება ისევ იმან მოიპოვა, რომელმაც 6-7 ივლისის Tbilisi Open-ზე იმარჯვა. გუნდმა And 1-მა წარმატებით განვლო გზა ფინალამდე და საჩემპიონო მატჩში ვეტერანი კალათბურთელებისგან შემდგარი Mix-ი 13:11 დაამარცხა.

And 1 ირაკლი ალხანაიძის, ლაშა ეძგვერაძის, დავით ეძგვერაძის და ლევან ტუხაშვილის შემადგენლობით გახდა ბათუმის ტურნირის ჩემპიონი და მოიგო ტალინში 11 აგვისტოს გასამართი საერთაშორისო ტურნირის საგზური. ამ გუნდს კომპანია „ევროპაბეთი“ დააფინანებს ესტონეთში მგზავრობითა და ცხოვრებით, ხოლო საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გზას უხსნის Euro Basketball Batumi 2013-ის გამარჯვებულს უფრო ძლიერი და რანგით მაღალი ტურნირისკენ.

ჩემპიონი გუნდი თასით, მედლებით და სიგელებით სუპერლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ და „ევროპაბეთის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსმა თამარ ქვილითაიამ დაავჯილდოვეს. რაც შეეხება ფინალში წაგებულ გუნდს, Mix-ი 20-წლამდელთა ნაკრების მენეჯერმა შალვა ონიანმა და ფედერაციის 3X3-ზე კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა გიგა გურგენიძემ დაასაჩუქრეს. მეორე ადგილზე გასულ გუნდს კომპანია ევროპა-ბეთისგან ლოპოტაზე 2-დღიანი საგზური ერგო საჩუქრად.

ტრადიციისამებრ, გამოვლინდა ტურნირის საუკეთესო მოთამაშე, რომელიც გუნდ And 1-ის ლიდერი ირაკლი ალხანაიძე გახდა. მას სპეციალური პრიზი, პლანშეტური კომპიუტერი, თამარ ქვილითაიამ გადასცა.

როგორც ყოველთვის, გაიმართა ტურნირები 3-ქულიან სროლებსა და ბურთის ეფექტურად გდებებში. სნაიპერთა დაპირისპირება გუნდ „15“-ის წევრმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა და ვეტერანმა კალათბურთელმა დავით ბერიშვილმა მოიგო, რომელმაც ფინალში დავით ეძგვერაძე დაამარცხა. ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული კი გეგი ბაქრაძე გახდა, რომელმაც ფინალურ დაპირისპირებაში ირაკლი ალხანაიძეს აჯობა.

3-ქულიანების კონკურსის გამარჯვებული ტურნირის წამყვანმა დიმიტრი ობოლაძემ დაააჯილდოვა, ხოლო ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული – ფედერაციის 3X3-ზე კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა გიგა გურგენიძემ.

ჩატენვებისა და სამქულიანი სროლების კონკურსების გამარჯვებულებმა შესაბამის თასებსა და დიპლომებთან ერთად, ციფრული ფოტოაპარატები მიიღეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვითარება

ბეილი ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს

თუკი ლონდონის „ტოტენჰემი“ და მადრიდის „რეალი“ გარეტ ბეილის ტრანსფერზე ვერ შეთანხმდებიან, უელსელი ნახევარმცველი ინგლისური კლუბის ხელმძღვანელებს ტრანსფერზე დაყენებას თავად მოსთხოვს. ამის შესახებ Marca იუწყება.

ამ გზით ლონდონელთა ვარსკვლავი ტრანსფერის დაჩქარებას ეცდება. ახლო წარსულში ანალოგიურად მოიქცნენ ლუკა მოდრიჩი და ჩაბი ალონსო, რომლებიც საბოლოოდ „რეალში“ აღმოჩნდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით „ტოტენჰემი“ ბეილის ტრანსფერში მოდრიჩის ჩართვას ითხოვს. მხარეებს შორის აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კარატე

სამი „ბრინჯაო“- ოქროს ქვიშებიდან

პოპულარულმა ბულგარულმა კურორტმა ვარნამ ამ დღეებში კარატისტთა მსოფლიოს ჩემპიონატსა (იაპონიის საერთაშორისო კარატე-დოს ასოციაციის ვერსიით) და სემინარს უმასპინძლა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფორუმის სამი ქართველი მონაწილე სამშობლოში ამდენივე ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

განსაკუთრებით გვასახელა 23 წლის რევაზ გოგობერიშვილმა, რომელიც ორჯერ ავიდა კვარცხლბეკის III საფეხურზე (-78 კგ წონითი კატეგორია, უფროსების კუმიტე და აბსოლუტური წონა კუმიტეში) და „დუბლი“ შეასრულა.

შეგირდს მშვენივრად აუბა მხარი მისმა მოქმედმა ინსტრუქტორმა მზეჭაბუკ მახარაძემ. მან მესამე ადგილი +78 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა (უფროსების ინდივიდუალური კუმიტე).

დავსძენთ, რომ ამ ფორუმის მთავარმა მსაჯმა, IX დანის იაპონელმა მფლობელმა სადაშიგი კატომ ჩვენ თანამემამულეთა ოსტატობას მაღალი შეფასება მისცა როგორც სემინარზე, ისე გამოცდებზე.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ალესანდრა ამბროზიო - ყველაზე შემოსავლიანი მოდელი

უმშვენიერესი ბრაზილიელი მოდელი ალესანდრა ამბროზიო, რომელიც თავის დროზე არაერთი ბრაზილიელი ფეხბურთელის გულისსწორი იყო, ბოლო ერთი წლის მონაცემებით მსოფლიოში ცნობილ მოდელებს შორის ყველაზე შემოსავლიანი ქალი გახდა.

ამბროზიო მთელს მსოფლიოშო ცნობილი ბრენდების სახედ ითვლება და, როგორც ირკვევა, 11 სხვადასხვა სახის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის გაყიდვები დიდწილად სწორედ ამ შხვართი ქალის ცნობადობაზე და იმიჯზეა დამოკიდებული.

ერთადერთი, რაზეც ეს მშვენიერი ქალბატონი სწუხს, ისაა, რომ ვერა და ვერ მოახერხა პირადი ცხოვრების აწყობა. ეს, ალბათ, არც არის გასაკვირი, რადგან მისი ცხოვრების დაძაბული გრაფიკისა და გამუდმებული ვოიაჟების ატანა ძალიან ბევრ მამაკაცს გაუჭირდება...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჭრელაჭრელა

რუსები გვაბრალებენ...

ვორონეჟის, ბელგოროდის, ვოლგოგრადის და რუსეთის კიდევ სხვა ოლქებში აფრიკული ჭირი მძვინვარებს და ათასობით ღორი იხოცება. ფერმერები შოკში და გაღატაკების პირას არიან. მაინც აგრე მკვეთრად საიდან გამოტყვრა ეგ ჭირი და ნუთუ როგორღაც უკავშირდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლას? დივერსიის სახით ხომ არა?

ქვეყნის სოფლის მეურნეობის უწყების ერთი მსხვილი მოხელე აი, რას ფიქრობს:

— რუსეთში აფრიკული ჭირი მოვიდა საქართველოდან 2007 წელს. აი ქართულ ღორებს კი რანაირად შეეყარათ ეს ავადმყოფობა, ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არის, თუმცა ვერსია ორია. პირველი — ვირუსი ღორების საკვებში მოხვდა საპორტო ნარჩენებთან ერთად იმ გემებიდან, რომლებიც, მაგალითად, აფრიკიდან მოვიდნენ. მეორე — ჭირის გამოჩენა დაემთხვა საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკელთა მიერ ბიოლოგიურ იარაღთან ბრძოლის ლაბორატორიის აშენებას. ამ დროიდან წლიდან წლამდე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ხდება დაავადების აფეთქება. წლეულს ჭირმა მოიცვა რუსეთის სამხრეთი და ცენტრალური ნაწილი. ველური ტახები ავადმყოფობას ავრცელებენ მეზობელ სახელმწიფოებში...

სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ღორების ჭირი ადამიანებისათვის არ არის საშიში, თუმცა ღრუტუნები როცა აიკიდებენ, მალე იღუპებიან. საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერ ვერ მოიგონეს, ბრძოლის ერთადერთი საშუალებად დაავადებულ ცხოველთა განადგურება რჩება. წლეულს უკვე მილიონამდე სული დაკლეს, საერთო ზარალი 2,5 მილიარდი მანეთია.

მოგვიკით ხელფასი!

ამბობენ, რომ რუსეთში მკვეთრად გაიზარდა სახელფასო დავალიანება. ქვეყნის საწარმოთა ვალები თავიანთ მუშაკებთან ივნისის დასაწყისიდან 10-ზე მეტი პროცენტით გაიზარდა 2,5 ტრილიონ მანეთამდე. ხელფასს ელოდება 80 ათასი კაცი. უარესდება საწარმოების ეკონომიკური მდგომარეობა და ეს ტენდენცია უკვე რამდენიმე თვეა, შეიმჩნევა.

მცირდება წარმოებათა რენტაბელობა, ამონაგების მოცულობა; ბრუნვის საშუალებები, საიდანაც ხელფასს უხდიან, დეფიციტს განიცდის. ასე რომ, საწარმოები იძულებულნი არიან სულ ყველაფერზე გასწიონ ეკონომია. დაძაბულობას ზაფხულიც მატებს შვებულებებითა და მუშაობის ტემპების დაკლებით. მიზეზები კი ბატონო გასაგებია, მაგრამ ეგ ხომ ვერაფერი შელავათია მუშაკებისთვის...

ამგვარად, დიდი მეზობლის ეკონომიკაშიც ვერ არის თურმე ყველაფერი რიგზე...

მობილური... შარდზე?

იმასაც ამბობენ, თითქოს მობილური ტელეფონების დატენვა შესაძლო გახდება... შარდით. ბრიტანელ ინჟინრებს უსწავლიათ ფიჭური ტელეფონების ასე დატენვა (საწვავი ელემენტი ბაქტერიებს იყენებს თხიერი ნარჩენების გადასამუშავებლად ელექტროენერგიის გამომუშავებით).

მეცნიერები რეგულარულად გვიპატაკებენ გარკვევებზე აკუმულატორული ტექნოლოგიების დარგში, თუმცა საქმე საცდელი ნიმუშების იქით ვერ მიდის. ისე ჩანს, რომ მარტო შარდი საკმარისი არ არის და სხვა კომპონენტების მოხმობა დასჭირდებათ. ასე რომ, საეჭვოა კომერციულ ხორშესხმამდე საკითხის მოყვანა. ამასთანავე ისეც ხომ ხდება, რომ ხშირად პროგრესულ იდეებს ოფიციალური მეცნიერება თავიდან ხიშტით ხვდება ხოლმე...

რა გერმანია აუტყდათ ჩეჩნებს?

10 ათასამდე განცხადებაა შესული პოლიტიკური თავშესაფრის შესახებ — გერმანია წლეულს რუსეთიდან დევნილთა ნამდვილ შემოსევას განიცდის. აბსოლუტურ უმრავლესობას კი ჩეჩნები შეადგენენ.

გერმანულმა ჟურნალმა ეს ინფორმაცია განათავსა, ოღონდ არ დაწერა, თუ რატომ გარბიან ჩეჩნები სახელდობრ გერმანიაში. ირკვევა, რომ ჩეჩნეთში დადის ხმები, რომ გერმანია მზად არის 40 ათასი ჩეჩნის მისაღებად, თავშესაფრისა და მიწის მიცემით.

რუსეთის ოფიციალური პირების მტკიცებით, ამის დაჯერება არასგზით არ შეიძლება და ამგვარი ხმები სრულიად მოკლებულია სერიოზულ საფუძვლებს. ეგ არის, ჩეჩნები ისეთ მძიმე პირობებში ცხოვრობენ, რომ მზად არიან ყველაფრის დასაჯერებლად.

სტატისტიკური მონაცემებით, გერმანიაში თავშესაფარს იღებს განმცხადებელთა დაახლოებით 40 პროცენტი.

შაყირი ჟურნალისტურად

ახლახან, როგორც ყველამ ვიცით, პრინცესა ქეით მადლტონმა დიდ ბრიტანეთის სამეფო ტახტს გვირგვინოსანი ჩვილი მოუვლინა. მართალია, როგორც ცინიკოსებმა გამოთვალეს, 3,8 კილოგრამი წონის ვაჟკაცი ამ ტახტს 60 წელზე ადრე ვერ დაიკავებს, მაგრამ ჟურნალისტები იმ ელიტურ კლინიკასთან, სადაც ქეითმა იმშობიარა, 3 კვირაზე მეტს მორიგეობდნენ.

ჰოდა, ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ადგილობრივმა მედიასაშუალებამ გააშაყირა კოლეგა-ფოტორეპორტიორები, როცა შესასვლელთან პრინც უილიამისა და მისი მეუღლის ორეულები გამოიყვანა, რომელთაც მაისურებზე ამ გამოცემის დასახელება ეწერათ.

აპარატების როგორი ჩხაკუნიც ატყდებოდა ასეთ „შეხვედრაზე“, წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა...

რემი, ნინა ღვინჯილიები მწუხარებით თანაუგრძნობენ რამაზ, ჯულიეტა ერქომაიშვილებს და მათ სანათესაოს ქალიშვილის

ვენერა ერქომაიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

რობერტ ბაბლიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უსაყვარლესი ბიცოლის, საუკუნოვან ასაკს გადაცილებული შესანიშნავი ქართველი ქალბატონის, ნათესავებისა და ქვეყნის უზომოდ მოსიყვარულისა, უებრო სტუმართმოყვარისა და ყოველგვარი სათნოებით აღსავსე დიდი ოჯახის წინამძღვრის

ანეტა აფხაზავა-ჯობელაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77;

599 32-85-76.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები აგვისტოში

აგვისტოში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 3-7, 10, 13, 14, 17, 21, 24, 28, 31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება ყველა სახეობის ავარიულობის გადიდება, სეისმოაქტივობისა და დაძაბულობის გაძლიერება სოციუმში.

4 — მთვარის შეერთება იუპიტერთან და მარსთან. შესაძლებელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. საალბათოა ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, სარძეო ჯირკვლების დაავადებანი. არ არის გამორიცხული უძილობა და თავის ტკივილი. სტრესებმა შეიძლება კუჭის წყლულთან მიგვიყვანოს. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, გამოვრიცხოთ სპირტიანი სასმელები, მძიმე და ცხარე საკვები, ვერიდოთ გაციებას და აქტიურ წყლის პროცედურებს, ვიყოთ ფრთხილი ცეცხლთან და მახვილ საგნებთან. ხელსაყრელი დროა სახლში წესრიგის დასამყარებლად, მახლობელ ადამიანებთან შეხვედრა, დასვენება, სპორტული მეცადინეობები.

5 — მთვარე-მერკურის შეერთება. დიდია გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობის დარღვევის ალბათობა. შესაძლებელია კუნთების კრუნჩხვა, ნერვების ანთებითი დაავადებანი. აუცილებლად უნდა ვერიდოთ დაძაბულობას, გადატვირთვას, სტრესებს. მკაცრად უნდა დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, უარი ვთქვათ ალკოჰოლსა და მოწევაზე, არ ავწიოთ სიმძიმეები. სასარგებლოა ტანვარჯიში, ჰაერის აბაზანები და სრულფასოვანი ძილი. ხელსაყრელი დროა, დავამთავროთ დაწყებული საქმეები.

7 — სრული მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ორგანიზმის ყველაზე დასუსტება, იმუნიტეტის შენელება. დიდი დატვირთვები გულის კუნთზე. შესაძლებელია ტკივილები გულში,გულის რიტმის დარღვევა, არტერიული წნევის ვარდნები, შრომისუნარიანობისა და ტვინის აქტივობის დაქვეითება, შენელებული რეაქციები. ამიტომ სრული მთვარის დღეს რეკომენდებული არაა წამოვიწყოთ ახალი საქმეები და ავაგოთ გეგმები. უნდა მეტად დავისვენოთ, არ გადავიტვირთოთ გონებრივად და ფიზიკურად. ჭამის დროს სასურველია განტვირთვა, უარის თქმა ალკოჰოლსა და მძიმე საკვებზე, არ არის სასურველი აცრები და ქირურგიული ოპერაციები. სასარგებლოა სამკურნალო ტანვარჯიში, მსუბუქი გასეირნება, ჰაერის აბაზანები.

10 — მთვარე-ვენერის შეერთება. შეიძლება შეგვაწუხოს თირკმელებმა, ნაღვლის ბუშტმა და კუჭქვეშა ჯირკვალმა, რადიკულიტმა, არ არის გამორიცხული ცხვირისა და საყლაპავი მილების დაავადებანი და კვებითი მოწამვლები. აუცილებელია უარი ვთქვათ ცხარე კერძებსა და ალკოჰოლზე. ვერიდოთ გაციებას (განსაკუთრებით მენჯის არეში), ორპირ ქარს, ცივ სასმელებს, ნაყინსა და უხარისხო პროდუქტებს.

13 — მთვარე-სატურნის შეერთება. შესაძლებელია დეპრესია, შარდ-სასქესო ორგანოების, ნაღვლის ბუშტის, საყრდენ-მოძრაობის აპარატის დაავადებათა გამწვავება, ტკივილები სახსრებსა და ძვლის ქსოვილებში. დაავადებანი დანალექი მარილებისაგან, სექსუალური მოშლილობა. გაზრდილია ტრავმების და ვენერიულ დაავადებათა მილების ალბათობა. უნდა დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ცხიმიან და ცხარე საკვებზე, ფიზიკურ დატვირთვაზე, ვერიდოთ გაციებას, განსაკუთრებით მენჯის არეში. ახალი საქმეების დაწყება რეკომენდებული არ არის. პასუხისმგებლობის აღების წინ გულდასმით გაიანგარიშეთ საკუთარი ძალები.

14 — მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. მაქსიმალური აქტივობის პერიოდია — ენერგია იზრდება, ემოციები ძლიერდება, საკვებს კარგად ვითვისებთ. შესაძლებელია საერთო ნერვიულობა, დავები და კონფლიქტები, თავის ტკივილი, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, განსაკუთრებით შარდ-სასქესო სფეროში. რეკომენდებულია თავი შევიკავოთ ემოციებისგან, ვერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს, დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებსა და მძიმე საკვებზე, ვერიდოთ გაციებას.

17 — მთვარე-პლუტონის შეერთება. მოსალოდნელია ტკივილები კბილებში, ძვლებსა და სახსრებში, არტროზები, არტრიტები, რადიკულიტი, გაციებები, სურდოები. შეიძლება თავი შეგვახსენონ ქვებმა ნაღვლის ბუშტში და შარდის ტრაქტში, თიაქარმა, ჰემაროიმ, ყაბზობამ და კანის დაავადებებმა, არ არის გამორიცხული

სასქესო ორგანოების დაავადებანი. რეკომენდებულია ვერიდოთ მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს, სიმძიმეების გადატანას. გაციებას. ცუდად მოფიქრებული ფინანსური ოპერაციები უმჯობესია გადავდოთ. არ არის გამორიცხული ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემები.

21 — სრული მთვარე, მთვარე-ნეპტუნის შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ნალექები არ არის გამორიცხული ძლიერი ემოციური გაღიზიანება, საკუთარ შესაძლებლობათა გადაფასება, დაბნეულობა და უყურადღებობა, რომლებმაც შეიძლება ტრავმატიზმთან მიგვიყვანოს. შესაძლებელია არტერიული წნევის ამაღლება, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ფსიქიკის დარღვევა, უძილობა, შინაგანი შეშფოთება, ტკივილები ტერფებში. ფრთხილად უნდა ვიყოთ, ალკოჰოლთან, შხამიან გაზებთან და სითხეებთან, საყოფაცხვრებო ქიმიის საშუალებებთან. სასურველია ამ დღეს არ დავნიშნოთ ოპერაციები, ნემსები, დავიცვათ ზომიერება კვებაში, გამოვრიცხოთ ალკოჰოლი.

სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, სამკურნალო ტანვარჯიში, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

24 — მთვარე-ურანის შეერთება. შესაძლებელია უყურადღებობა, მხედველობის და სმენის გაუარესება, ფსიქიკურ და გონებრივ სფეროთა დარღვევები. გულის რიტმის ცვალებადობა. არ არის გამორიცხული თავის, ცხვირისა და ყელის დაავადებანი და ძილის დარღვევა. არ არის სასურველი გავიკეთოთ ოპერაცია თავზე, ამოვიღოთ ზედა კბილები, გადავიკრიჭოთ თმები. რეკომენდებულია დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი. კარგია ვსვათ მეტი სუფთა წყალი და უარი ვთქვათ მოწევაზე. აღმგზნებ სასმელებზე, შოკოლადზე. მძიმე საკვებზე. ერიდეთ დაცემას. იყავით ფრთხილად ცეცხლთან და მახვილ საგნებთან. დღეს ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან საქმეებს.

28 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. ხდება ყველა რეაქციის შენელება, ძალები ქვეითდება, განწყობილება უარესდება, იმუნიტეტი სუსტდება. ჩნდება ემოციური გაუწონასწორებლობა, სიზარმაცე და პასიურობა, იზრდება გარემო ბუნებისადმი აღმგზნებადობა. შესაძლებელია სასუნთქი გზების, ფილტვების დაავადებანი, ხელებისა და მხრების ოსტრეოქონდროზის გამწვავება. ნუ გადატვირთავთ ხელებს, ერიდეთ სტრესებს და კონფლიქტებს. ახლა შეიძლება ვაკეთოდ საქმე, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვებს, ბოლომდე მივიყვანოთ ადრე დაწყებული საქმეები. სასურველია სრულფასოვანი კვება, უხვი სმა. სასარგებლოა სასუნთქი ვარჯიშები, წყლის პროცედურები, გასეირნება და დასვენება.

31 — მთვარის აპოგეა, მთვარე-იუპიტერის შეერთება. შესაძლებელია შეფერხებები საკვების გადამუშავებაში, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ლიმფური სისტემის მუშაობის დარღვევა. არ არის გამორიცხული შესიება და პრობლემები სარძეო ჯირკვლებთან დაკავშირებით, ინფექციური და კანის დაავადებანი. ერიდეთ გაციებას, დროებით უარი თქვით აქტიურ წყლის პროცედურებზე. ხელსაყრელი დროა საოჯახო ზეიმების ორგანიზაციისთვის, დასვენებისა და სახლის კეთილმოწყობისთვის.

◎ ჩვენი კარაბადინი

არანაირი წნევა!

შეიძლება, რომ ჰიპერტონია ავიცილოთ თავიდან

ჩვეულებრივ ადამიანს რომ შეეკითხო, ეშინია თუ არა მას ჰიპერტონიით დაავადებისა, ის პასუხად მხოლოდ გაიცინებს. არა, რასაკვირველია! ზოგიერთი კი მას დაავადებად არც მიიჩნევს. არადა, ამ ბანალურ „სატკივარს“ უფრო მეტი სიცოცხლე ეწირება, ვიდრე კიბოს, შიდსსა და ტუბერკულოზს.

უხილავი მკვლელი

ასე უწოდებენ ექიმები ჰიპერტონიას. მისი ვერაგობა ისაა, რომ იგი ხშირად მიმდინარეობს პაციენტისთვის შეუმჩნევლად. ჩვეულებრივად „დამწყები“ ჰიპერტონიკი დაავადების პირველ სიმპტომებს დაღლილობას მიაწერს. მართლაც, ხანმოკლე შესვენების შემდეგ მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა... ცოტა ხნით. დროის განმავლობაში ხდება ჰიპერტონიის პროგრესირება და ნათელი შუალედები სულ უფრო მოკლე ხდება. ჰორიზონტზე უკვე გამოჩნდა ინსულტის საფრთხე, ავადმყოფი კი არ ჩქარობს ექიმთან მისვლას.

ყველაზე საწყენია ის, რომ ჰიპერტონიის დიაგნოსტიკა საკმაოდ მარტივია. საკმარისია

სახლში გქონდეს ჩვეულებრივი ტონომეტრი და რეგულარულად აკონტროლო საკუთარი წნევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მათთვის, ვინც ამ დაავადების რისკის ჯგუფში შედიან:

- **35-50 წლის მამაკაცები, ქალები — მენოპაუზის შემდეგ.**
- **ისინი, ვინც ყოველდღიურად სვამენ სპირტიან სასმელებს, განსაკუთრებით მაგარს.**
- **ის ადამიანები, ვინც განიცდის ქრონიკულ სტრესს (მაგალითად, მეგაპოლისების მცხოვრებლები), მწვავე ან ხანგრძლივ ემოციურ დაძაბულობას.**
- **მწეველები.**
- **მარილიანი საჭმელების მოყვარულები.**
- **ისინი, ვინც ნაკლები მოძრაობის წესით ცხოვრობენ, აქვთ ზედმეტი წონა, აწუხებთ სიმსუქნე.**
- **ჰიპერტონიით დაავადებულთა ნათესავები: თუ ჰქონდა დედას, მამას ან ბებიას, დიდი ალბათობით გაგიჩნდებათ თქვენც.**

მიზანშია გული

არის ასეთი ცნება — არტერიული წნევის სამიზნე ორგანოები. ესაა — გული, თირკმელები, ტვინი და სისხლძარღვები. სწორედ ისინი ღებულობენ დაავადების პირველ დარტყმას.

რაც მაღალია წნევა, მით მეტი დატვირთვით მუშაობს გული. დროთა განმავლობაში იგი იზრდება (ჰიპერთროპირდება), მაგრამ ეს არ შეიძლება ხდებოდეს უსასრულოდ. „მგზნებარე მოტორი“ ცვდება, რაც გულის უკმარისობით გვემუქრება. ზიანდება სისხლძარღვებიც — მათ უწევთ დაუპირისპირდნენ სისხლის სულ უფრო და უფრო ძლიერ ნაკადს. დროის განმავლობაში ისინი სულ უფრო ნაკლებად ელასტიურები, მყიფეები ხდებიან. სადაც წვრილია — იქ წყდება: იზრდება სისხლის ჩაქცევის, მათ შორის თავის ტვინშიც, ალბათობა. თანაც, ჰიპერტონიის გამო ხდება სისხლძარღვთა სპაზმირება, მყარი სპაზმი კი ხელს უწყობს მუდმივად მაღალი წნევის შენარჩუნებას — და მავნე წრეც იკვრება.

რეცეპტით

ამჟამად ექიმების არსენალში არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობის ბევრი პრეპარატია. როგორც წესი, მძიმე ჰიპერტონიის შემთხვევებში ჩნდება რამდენიმე წამლის კომბინირების აუცილებლობა. მაგრამ ჩვეულებრივად იწყებენ ერთი პრეპარატით მცირე ან ზომიერი დოზით, რომ თავიდან აიცილონ წნევის მკვეთრი რხევები და შესაძლო თანმდევი რეაქციები.

ბევრი თანამედროვე პრეპარატი არა მხოლოდ ებრძვის ჰიპერტონიას, არამედ აქვს სხვა დადებითი თვისებებიც. მაგალითად, იცავს სამიზნე ორგანოებს, აქვს დამატებითი მოქმედებები — საკმარისია მიიღო ექიმის მიერ რეკომენდებული ერთი აბის დოზირება, და სამკურნალო ეფექტი მთელი დღე-ღამის განმავლობაში გვყოფნის.

ასევე დაინტერესდით მკურნალ ექიმთან გამოჯანმრთელების სხვადასხვა მეთოდებით. ეს შეიძლება იყოს რეფლექსოთერაპია, ნემსის გაკეთება, მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა. შესაძლებელია, სამკურნალო პრეპარატების მიღების გარდა გამოვიყენოთ ბალახების ნაყენი, ვიტამინები.

უფრო იოლია, თავიდან ავიცილოთ...

და მაინც უმჯობესია, არ დავუშვათ ჰიპერტონიის განვითარება და თავის დროზე მივხედოთ პროფილაქტიკას.

ფიზიკური დატვირთვა. სიარული, ცურვა, სირბილი, ტრენაჟორები — შეარჩიეთ გემოვნების მიხედვით, ეს ყველაფერი სასარგებლოა. გახსოვდეთ მხოლოდ, რომ სპორტული ვარჯიშები უნდა იყოს რეგულარული: უმჯობესია ყოველდღე 15-30 წუთი, ვიდრე კვირაში 2-ჯერ რამდენიმე საათის განმავლობაში. დატვირთვა გაზარდეთ თანდათანობით, ეს განსაკუთრებით შეეხება ჩამოყალიბებულ ჰიპერტონიკებს — ინტენსიური ვარჯიშების დროს სისტოლოგიურმა (ზედა) წნევამ შეიძლება მკვეთრად აიწიოს. დიეტასთან შეხამებული ვარჯიშები ხელს უწყობს ზედმეტი წონის დაკლებას და კარგად ავარჯიშებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

დიეტა, რომელიც ზღუდავს მარილისა და ცხოველური ცხიმების მოხმარებას. ნორმა — დღეში ერთი ჩაის კოვზი მარილი. ნუ დაივიწყებთ მის შემცველობას მოსახმარებლად მზა პროდუქტებში. გამორიცხეთ ან არსებითად შეზღუდეთ ფასტფუდი, შაშხეული, კონსერვები, მაიონეზი, მწნილეული. შემწვარი კერძები შეცვალეთ ორთქლზე და ჰაერღუმელში მომზადებულით, კარაქი კი — მცენარეული ზეთით. ირჩიეთ თევზისა და ხორცის უცხიმო ხარისხები, უცხიმო რძის პროდუქტები.

ემოციების მართვა. სტრესი — ჰიპერტონიის განვითარების ერთერთი ძირითადი მიზეზია. თუ ვერ ახერხებთ ცხოვრებაში მისკენ მიმავალი ფაქტორების გამორიცხვას შეეცადეთ შეცვალოთ თქვენი დამოკიდებულება მიმდინარე ამბებისადმი. ბუზიდან სპილოს ნუ შევქმნით, ზუსტად განსაზღვრეთ, თუ რა საბაბით შეიძლება გამოვაჩინოთ შეშფოთება და რითი — არა. თუ ნებისყოფა გეყოფათ, აითვისეთ ფსიქოლოგიური განტვირთვის მედიტაცია, აუტოტრენინგი.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყშინდეთ ვარსებულთან

კადრების პრობლემა თუ მახე თავდაცვის მინისტრისთვის

თავდაცვის უწყებაში გაურკვეველი საკადრო პოლიტიკა გრძელდება, რაც, ექსპერთა აზრით, ბევრ კითხვას აჩენს. მთავარი კი ის არის, უკვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ყველაფერი ალასანიას წინააღმდეგ დაგეგმილი კამპანიის ნაწილია და არასწორ საკადრო პოლიტიკას უკავშირდება.

„რეზონანსი“

ძუთაისის მერიამ ბიზნესის „ახევები“ დაიწყო?!

დაშანტაჟებული და დაწიოკებული ბიზნესმენები, ხელყოფილი საკუთრებები და ჩამორთმეული წილები — ეს სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი იყო, რომელიც გარიგებაზე არწასული მეწარმეებისთვის კაბალურ გადასახადებში იზრდებოდა. როგორც ჩანს, არჩევნებიდან 9 თვის თავზე ქუთაისში ისევ „ნაციონალური სურნელი“ დატრიალდა. „ალიას“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ქალაქის რამდენიმე სავაჭრო ცენტრში მერიის სახელით „ახევები“ დაიწყო.

„ალია“

თბილისში ყაჩაღი მათხოვრები გამოჩნდნენ

ბოლო ხანს ჩვენს ქალაქში უცნაური ამბები ხდება. კონკრეტულად კი პრესტიჟულ უბნებში (საბურთალო, ვერა, ვაკე, მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორია), მნიშვნელობა არა აქვს, დღე იქნება თუ ღამე, ადამიანები კარგად ჩაცმული ყაჩაღი მათხოვრების სამიზნე ხდებიან. აშკარაა, რომ ქალაქში მოქმედებენ ე. წ. მათხოვრების ჯგუფები, რომლებიც მოქალაქეებს ფულის გამოძალვის ადგილად, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიებს, ზოგჯერ კი პოლიციის ეზოებს ირჩევენ. ორ-სამკაციანი ჯგუფი სწორედ პოლიციის წინ სკვერში მჯდომ ქალბატონებს სძალავენ ფულს. ზოგჯერ ასეც კი ეუბნებიან, გახსენი ჩანთა და ფული მომეცი, შენთვის ასე აჯობებსო.

„ყველა სიახლე“

გოგა ონიანი სასამართლოში ჩივის

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ადვოკატი გოგა ონიანი ცრუ ჩვენების მიცემისთვის მთავარ პროკურატურას მოწმეების დასჯას სთხოვს. მისი განცხადებით, უნდა დაიწყოს გამოძიება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს ის პირები, რომლებიც ახალაიას საქმეზე მოწმის სტატუსით დაკითხვისას ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები მისცეს. „2006 წლის 27 მარტის ციხის ბუნტის საქმეზე არსებულ 6 მოწმეს ჩვენებები აქვს გაყალბებული, მივმართავ მთავარ პროკურატურას და სახალხო დამცველს, რომ მოახდინოს ამაზე რეაგირება“, — აცხადებს ონიანი.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— არა, ჩემს ქმართან ცხოვრება საერთოდ წარმოუდგენელია!
— შენც გასცილდი!
— იფ! კიდევ რა გინდა? მან მთელი ცხოვრება გამიფუჭა და მე გავაბედნიერო?

* * *

— მელაზე სანადიროდ უკვე ზაზუნათი დავდივარ, — ეუბნება მონადირე სხვა მონადირეებს.
— ეს როგორ?!
— როგორ და, აიყვან ზაზუნას, მისცემ მას არყის ბოთლს და შეუშვებ სოროში.
— მერე რა?
— რა და, თხუთმეტი წუთის შემდეგ ზაზუნაც და მელაც მოსაწევად გამოდიან.

* * *

— გავიგე, რომ დაქორწინებულხარ. როგორ მიდის ოჯახური ცხოვრება?
— როგორც თეატრში...
— ეს როგორ?
— მხოლოდ სცენებია...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24